გამოცემის 103-ე წელი

აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№2 (25.130) 19 იანვარი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს!

პროექტის მეხუთე ფაზის სამუშაოები იწყება

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეხუთე ფაზის სამუშაოების დაწყების საკითხები განიხილეს ბათუმის მერიაში გამართულ შეხვედრაზე. ქალაქის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის აღმასრულებელი სააგენტოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და პროექტის საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად პროექტის დეტალებზე იმსჯელა, რომლის ფარგლებშიც ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის, ა და ბ სატუმბი სადგურების გაფართოება, აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალარინება, ინჯალოს წყლის სამარაგე რეზერვუარის, წყალსადენის და სასმელი წყლის მკვებავი ხაზის მშენებლობა, მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა, ჩაქვის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ჩაქვის გადამცემი მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია, ხელვაჩაურის და აეროპორტის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა იგეგმება.

- ეს იყო შეხვედრა პროექტის კონსულტანტი კომპანიის, მუნიციპალიტეტისა და საკრედიტო ბანკის (KFW) წარმომადგენლებს შორის, რომელიც რეგულარულად იმართება და რომელზეც ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განვითარებაზე ვსაუბრობთ. პროექტი მიზნად ისახავს წყლისა და წყალარინების სისტემების გაფართოებას, რაც მოიცავს ბათუმთან შემოერთებულ ტერიტორიებს, - განაცხადა პროექტის მენეჯერმა ერიხ კაშკამ.

ლაო ჯინ ჯაოს სააგარაკე სახლი ახალ სიცოცხლეს შეიძენს

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, ნინოშვილის ქუჩის №12-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა. ინფორმაციას აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ავრცელებს.

მათი ცნობით, პროექტით გათვალისწინებულია შენობის სრული რეაბილიტაცია. მოეწყობა საპარკინგე და სხვა სახის ღია სივრცეები, შენობის ფასადსა და ინტერიერს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„პარალელურად, სააგენტო იწყებს მუშაობას შენობის ინტერიერის დიზაინზე. იგი ითვალისწინებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით საგამოფენო სივრცის მოწყობას, სადაც შესაძლებელი იქნება ქართული ჩაის ისტორიის სრული სურათის გაცნობა, ჩაის დეგუსტაცია, სხვადასხვა

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება და ა.შ. შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ბაზაზე ქართული საზოგადოება მიიღებს კიდევ ერთ ახალ, საინტერესო და მიმზიდველ კულტურულ ცენტრს.

XIX საუკუნის ბოლოს აშენებული ლაო ჯინ ჯაოს სააგარაკე სახლი საინტერესო გეგმარებითა და დახვეწილი ფორმებით ხასიათდება. იგი იმდროინდელ ნაგებობათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. სახლთან ჩაქვისა და, ზოგადად, იმ დროის ბათუმის ეკონომიკური განვითარების საინტერესო ისტორიები და ბიოგრაფიებია დაკავშირებული. 1893 წელს საქართველოში ლაო ჯინ ჯაო სამი წლით მოიწვიეს, თუმცა მან აქ 30 წელი იცხოვრა და ქართული ჩაის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

რატომ მიდიან ახალგაზრდები პოლიტიკაში? 2

წმინდა მატრონას ხატი და ორად გაყოფილი საზოგადოება 4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

რატომ მიდიან ახალგაზრდები პოლიტიკაში?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ამ ქვეყნის მომავალი ახალგაზრდებშია, ახალგაზრდები კი განსაზღვრავენ ქვეყნის სამომავლო პოლიტიკურ ამინდს, შესაბამისად, მათი აზრი და მისწრაფებები ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღების დროს ახალგაზრდების ხმაც ისმოდეს. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ახალგაზრდები პოლიტიკაში იმიტომ კი არ მიდიან, რომ გარკვეული პოლიტიკური პარტიის იდეას და მისწრაფებებს იზიარებენ, არამედ წარმატებისა და ცნობადობისკენ პირველ ნაბიჯებს დგამენ. თუ საქართველოში პოლიტიკურ დღის წესრიგს დავაკვირდებით, არ გაგვიჭირდება იმის შემჩნევა, რომ პარტიებში ახალი სახეები ნაკლებად არიან, მაგრამ საინტერესოა, ასე რატომ ხდება, როდესაც პირიქით, ახალი სისხლი სჭირდება საკმაოდ ძველ და უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობ პარტიებს.

დღეს გაგაცნობთ ახალგაზრდას, რომელიც ღიად არის ჩართული ქართულ პოლიტიკაში და აქტიურად გამოხატავს აზრს სხვადასხვა საკითხზე. ეს ***თემო ტარიელაძე*** *გახლავთ, პარტია „საქართველოსთვის“ ბათუმის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი, ბსუ-ის სამართალმცოდნეობის სტუდენტი, რომელსაც ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობაზე ვესაუბრეთ.*

- პოლიტიკა „ბინძურ საქმედ“ მიიჩნევა და ახალგაზრდები პირიქით, უნდა ცდილობდნენ, რომ არ იყვნენ პოლიტიკის ნაწილი. რა არის პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ფრთებში გაწევრიანების მთავარი მიზეზი?

- პოლიტიკა დამალობანას თამაშს ჰგავს, ვიღაც არაკეთილსინდისიერად შეიძლება თამაშობდეს - დროზე ადრე გაიხილოს, თვლაში მოიტყუოს. ვინ როგორ ითამაშებს, მოთამაშეებზეა დამოკიდებული და არა - თამაშზე. თამაშს თავისი წესები აქვს, რამაც რეალურად მისი სწორად წარმართვა უნდა უზრუნველყოს. დღეს ბევრი პოლიტიკოსი თამაშის არასწორი წესებით რომ მოქმედებს, ფაქტია. არ შეიძლება, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მიკროფონებით მუშკეტერობანას თამაში, ქალებთან პოლემიკაში შეუსვლელობა ან მედიაში ქართველი ხალხის თვალწინ გინება სწორ და ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესად აღვიქვათ. ცხადია, ეს რეალობა ახალგაზრდას, რომლის მიზანი არა პოლიტიკური პლუსების დაწერა, არამედ საკუთარი ინტელექტუალური (და არა მარტო) რესურსის ქვეყნის საკეთილდღეოდ მაქსიმალურად გამოვლენაა, არ მოეწონება და არც უნდა მოეწონოს, მაგრამ სწორედ ეს არმოწონება უნდა იყოს მისი პოლიტიკაში ჩართვის მიზეზი. ამბობენ - „თერმომეტრის დამალვით არც სიცხე დაიწევს და არც ავადმყოფობა განიკურნებაო“, მოგვწონს, თუ არ მოგვწონს, დრო მიდის, წარმავალი წავა და დადგება მომენტი, როცა ამ ქვეყნის მართვის სადავეები ახალი თაობების ხელში უნდა გადავიდეს, ეს ისტორიის კანონზომიერებაა. მაშ, ვინმე არსაიდან მოსულმა უნდა აიღოს ეს სადავე ხელში? ნუთუ, შეგვიძლია, ასე, ჰაერში დავტოვოთ ჩვენი ქვეყნის ბედი? ჩვენ პასუხისმგებლობა გვაქვს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენს შემდეგ მომსვლელებს რაღაც უკეთესი დავახვედროთ, ყოველ შემთხვევაში, გაძარცვული არა, როგორსაც ჩვენ გვახვედრებენ კორუფციონერი პოლიტიკოსები. „პოლიტიკის სიბინძურეც“ მათი მოტანილია და სწორედ მათი სურვილია, ახალგაზრდები არ ჩაერთონ პოლიტიკაში. ზოგადად, ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა უნდა იტვირთონ პასუხისმგებლობა, პარტიებმა პოლიტიკა ისეთი წესებით აწარმოონ, რომ იგი „ბინძურ საქმედ“ კი არ დარჩეს, არამედ გადაიქცეს იარაღად ხალხის ხელში და მოქალაქეებისთვის უკეთესი გარემოს შექმნის გარანტი გახდეს. პოლიტიკის „ბინძური წესების“ შეცვლა და ხედვის კუთხედ არა პოლიტიკოსების, არამედ ხალხის ინტერესების არჩევა უნდა იყოს ახალგაზრდების პოლიტიკაში მოსვლის მიზეზიც და მიზანიც. თუ ახალგაზრდა არ დაკავდება პოლიტიკით, მაშინ პოლიტიკა დაკავდება მისით.

- საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ პოლიტიკური პარტიები ხშირად მანიპულირებენ თავიანთი ახალგაზრდული ფრთებით, რადგან პარტიულ ელიტას არ სურს სკანდალში გახვევა და ე.წ. გადაბრალება ხდება ახალგაზრდებზე. რამდენად ეთანხმებით ამ პოზიციას?

- ახალგაზრდებზე, არა, ზოგადად, ყველაზე გადაბრალება ეს კუთხეში მიმწყვდეული, ტყუილში გამოჭერილი პოლიტიკოსების მანერაა. რა თქმა უნდა, როცა ახალგაზრდულ ორგანიზაციას ქმნიან იმისთვის, რომ მათი „ტროლ-ბოტებად“ გამოიყენონ, ახალგაზრდების საშუალებით ვიღაცები დაამცირონ ან თავიანთი ეგოები კვებონ, ამ ახალგაზრდებს კი რაღაც ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო პროტესტის გამოხატვაც არ შეუძლიათ, მათი მანიპულირება, მათზე ტალახიანი ხელების შეწმენდა მარტივია, თუმცა ტალახიანი რჩება ის ხელი, რომელიც ამ ტალახს ისვრის. კონკრეტულ პარტიებს არ დავასახელებ, ბევრად კარგი იქნება, თავიანთ თავს თუ ამოიცნობენ, მაგრამ ჩემს გუნდზე შემიძლია ვისაუბრო. ჩვენთან იმის საშიშროება, რომ „ზევიდან“ ვიღაც „ქვევით“ ვინმეს რამეს დააბრალებს, ხელს შეაწმენდს, უბრალოდ, არ არსებობს, რადგან ჩვენთან ტერმინები ზევით-ქვევით, ფრთა, კისერი არ არსებობს, ერთი ოჯახი ვართ, ოჯახის წევრები კი ერთმანეთს განსხვავებული აზრის გამო დამცირებისთვის ან საკუთარი თავის სკანდალებისგან არიდებისთვის არ ვიყენებთ. ჩვენ სკანდალებისთვის არც გვცალია. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ყველანი ერთად - ახალგაზრდები, პოლიტსაბჭოს წევრები, დეპუტატები, მხარდამჭერები ვსხედვართ და არა რომელიმე ოპონენტზე თავდასხმას ვგეგმავთ, სამუშაო დღის წესრიგს ვადგენთ, ხალხის პრობლემებზე ვსაუბრობთ და მათი გადაჭრის გზებს ვეძებთ.

- რატომ - პარტია „საქართველოსთვის“?

- ზოგადად, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა თანმიმდევრულია. არ შეიძლება, ხალხი მოატყუო საკმაოდ მიმზიდველი დაპირებებით, უფასო ფულით, გასამმაგებული პენსიით, ორ დღეში „ადუღებული“ ეკონომიკით და ა.შ. ის, რომ მოკლე დროში რაღაცები, უბრალოდ, შეუძლებელია, ყველამ კარგად იცის, თუმცა არაკეთილსინდისიერ პოლიტიკოსებს არ აქვთ იმის კომპლექსი, რომ ხვალ შეუსრულებელი დაპირებების გამო ქართველი ხალხისთვის თვალებში ჩახედვა მოუწევთ. რას ვპირდებით ჩვენ ხალხს? ახალი ველოსიპედის გამოგონებას ნამდვილად არა. ის რესურსი, რომელიც რეალურად არსებობს სახელმწიფოში ტურიზმის, საერთაშორისო გრანტების, იმპორტ-ექსპორტის მეშვეობით, რამდენიმე ჩინოვნიკის ჯიბეში კი არ დაილექოს, ქართველი ხალხისთვის უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნას მოხმარდეს. ყველა ლაპარაკობს რაღაც დიად მიზნებზე, კონსტიტუციით აღებულ ვალდებულებაზე. ეს გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ გააკეთოს ყველაფერი, რათა საქართველო მართლაც სამართლებლივი და სოციალური სახელმწიფო გახდეს. არავინ ამბობს, ქართველ ხალხს ღირსებას დავუბრუნებო, განა, რითი განსხვავდებიან ჩვენი მოხუცები ფრანგი მოხუცებისგან ან რა სხვაობაა ქართველ და გერმანელ სტუდენტს შორის? ამ კითხვებს ბოლოს მოვუღებთ, ოღონდ არა ფანტასტიკის ჟანრის თავგადასავლების კითხვით, არამედ თანმიმდევრული და ქართველ ხალხთან ერთობლივი მუშაობით.

- არაპოლიტიკური თვალით რომ შევხედოთ, რაში ხედავთ ჩვენი ქვეყნის გამოსავალს?

- გამოსავალი პოლიტიკურადაც და არაპოლიტიკურადაც ერთია. თქვენი კითხვა

იხ. მე-6 გვ.

> *„ცხადია, ეს რეალობა ახალგაზრდას, რომლის მიზანი არა პოლიტიკური პლუსების დაწერა, არამედ საკუთარი ინტელექტუალური (და არა მარტო) რესურსის ქვეყნის საკეთილდღეოდ მაქსიმალურად გამოვლენაა, არ მოეწონება და არც უნდა მოეწონოს, მაგრამ სწორედ ეს არმოწონება უნდა იყოს მისი პოლიტიკაში ჩართვის მიზეზი*

ქვირის ქრონიკა

შავშეთის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს ბათუმის მერი გაეცნო. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, შავშეთის ქუჩა ათეული წლის განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო. ქუჩის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ კი ყველა არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემა გადაიჭრება. ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ბაგრატიონის ქუჩიდან ანდრონიკაშვილის ქუჩამდე მონაკვეთში მიმდინარეობს, სადაც სანიაღვრე არხი ეწყობა. პროექტის ფარგლებში, 20 ათას კვმ ტერიტორიაზე დაიგება ასფალტი, მოეწყობა მწვანე საფარი, ბორდიურები, ტროტუარები, სანიაღვრე სისტემები და გარეგანათების ქსელი. ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის. პროექტი მრავალწლიანია და 2026 წლის მაისის ბოლომდე დასრულდება, რისთვისაც 9 მილიონ 324 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სატრანსპორტო მოძრაობა შეზღუდულია და №11 ავტობუსი შავშეთის ქუჩის ნაცვლად, ანდრონიკაშვილის, სულაბერიძისა და ბაგრატიონის ქუჩების გავლით მოძრაობს.

* * *

ბათუმის მერი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. მორიგი შეხვედრა ბათუმის მერიაში გაიმართა. არჩილ ჩიქოვანმა მოსახლეობის პრობლემები მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად მოისმინა. შეხვედრაზე მოსახლეობისთვის აქტუალური საკითხები განიხილეს და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. ინფრასტრუქტურის, სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით არაერთი რეკომენდაცია გაიცა. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, მოქალაქეებთან შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. მერიის პრესსამსახურის განცხადებით, შეხვედრის ჩასანიშნად უნდა დარეკოთ მერიის ადმინისტრაციაში ნომერზე - 0422 27 01 19.

* * *

სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია გრძელდება. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს. მერიის ცნობით, კობალაძის ქუჩიდან კაჩინსკების ქუჩის წრიულამდე მონაკვეთში სანაპირო ზოლის აღდგენა მიმდინარეობს. „სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ვიცე-მერი ლევან დავითაძე და საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი აკაკი ბერიძე ადგილზე გაეცნენ. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, რეაბილიტირდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ველობილიკი და პრომენადი. სამუშაოები მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე დასრულდება, რისთვისაც 15 მილიონ 659 ათასი ლარი დაიხარჯება“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

ბათუმის ბულვარში ველომოყვარულები ტურისტულ სეზონზე განახლებული ველობილიკით ისარგებლებენ. ინფორმაციას ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია ავრცელებს. ბულვარში არსებული ველობილიკის მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ძველი ველობილიკის რეაბილიტაცია და მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული მონოლითური რკინა-ბეტონის ველობილიკი. „საპროექტო ტერიტორია მოიცავს ძველი ბულვარიდან ახალ ბულვარში, ამფითეატრის მიმდებარე ტერიტორიამდე არსებულ ველობილიკს, რაც ჯამში, 6 000 გრძივ მეტრს შეადგენს. განახლებული ველობილიკი კომფორტულს და უსაფრთხოს გახდის ველოგადაადგილებას. პროექტი მიმდინარე წლის ზაფხულის ტურისტულ სეზონამდე დასრულდება.

* * *

ლეონიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სატრანსპორტო მოძრაობა იზღუდება ტაბიძის ქუჩიდან ხახულის ქუჩამდე მონაკვეთში. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს.

მათი ცნობით, შეზღუდვა შეეხება №1, №1ა, №4, №7, №8 და №11 მუნიციპალურ ავტობუსებს, რომლებიც იმოძრავებენ შემდეგი სქემის მიხედვით:

№1 და №8 - ლეონიძის, ტაბიძისა და აღმაშენებლის ქუჩების გავლით; №1ა - აღმაშენებლის, ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების გავლით; №4, №7 და №11 - აღმაშენებლის ქუჩის გავლით.

ავტომობილების მოძრაობა შესაძლებელია პარალელური ქუჩებით. ცვლილებები სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე შენარჩუნდება.

* * *

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამას გლაუკომის სამკურნალო მედიკამენტები დაემატა. ინფორმაციას დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს. მათი ცნობით, შესაბამისი კატეგორიის თუ სტატუსის მქონე მოქალაქეები გლაუკომის სამკურნალო მედიკამენტს მთელი წლის განმავლობაში სრული დაფინანსებით მიიღებენ. „შესაბამისი კატეგორიის ბენეფიციარებს მთელი წლის განმავლობაში სრულად დაუფინანსდებათ: გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტი ტიპი 2-ის, პარკინსონისა და ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტებიც. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შესული აღნიშნული სიახლეები შეეხება სოციალურად დაუცველ პირებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს), პენსიონერებს, ვეტერანებს, შშმ პირებსა (შშმ ბავშვები, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.“ - ვკითხულობთ ინფორმაციაში.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოდან ექსპორტირებული მანდარინის მოცულობა 21.4 ათასი ტონით გაიზარდა. „2023 წლის პირველი სექტემბრიდან 2024 წლის 16 იანვრის ჩათვლით, საქართველოდან 36.2 ათასი ტონა მანდარინის ექსპორტი განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 23.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

* * *

„ლელოს“ აჭარის ორგანიზაციის ოფისში ბრიფინგი გაიმართა, სადაც პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა გენო თებიძემ ხულო-ზარზმის გზის მშენებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 8-წლიანი ლოდინის შემდეგ აღნიშნული გზის მშენებლობა ისევ დაუსრულებელია. თებიძის თქმით, ამ ხნის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ აღნიშნული სამუშაოები მიანდო ისეთ კომპანიებს, რომელთა საქმიანობას სხვადასხვა დროს პროკურატურა იძიებდა, ან ჰქონდა შეუსრულებელი ვალდებულებები. უფრო კონკრეტულად რომ ვისაუბროთ, 2018 წლის აგვისტოში 110 - მილიონიანი ხელშეკრულება გაფორმდა ყაზახურ კომპანია „ტონინთან“, რომელიც სამტრედია-გრიგოლეთის გზას აშენებდა და შეუსრულებელი ვალდებულებების გამო ხელშეკრულება ჰქონდა შეწყვეტილი. აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულება 2020 წლის თებერვალში შეწყდა, იმავე წლის მაისში კი ეს საქმე მიანდეს კომპანიას, რომლის საქმიანობას პროკურატურა იძიებდა. საუბარია შპს „მამისონზე“. კომპანიის სახელშეკრულებო თანხა 14 581 880 ლარი იყო. ტენდერი გზების დეპარტამენტს 18 227 349 ლარზე ჰქონდა გამოცხადებული.

ამ ქვეყნების არჩევნების შედეგები მსოფლიოს მომავალს განსაზღვრავს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

2024 წელი მსოფლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენებით იქნება გამორჩეული. გაცხადდება არა მხოლოდ საპრეზიდენტო (აშშ, რუსეთი) და საპარლამენტო (საქართველო) არჩევნების შედეგები, არამედ ისეთი ძირეული საკითხები, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის ომის, ჩინეთ-აშშ-ის გართულებული ურთიერთობების განვითარება ტაივანის საკითხთან მიმართებით და ნატოს აღმოსავლეთ გაფართოება. 2024 წელს შეგვიძლია საარჩევნო წელიც გუწოდოთ, რადგან მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში არჩევნებია დანიშნული. შეცვლილი გეოპოლიტიკის ფონზე ეს ახალ რეალობას წარმოშობს - ასე ფიქრობენ ანალიტიკოსები.

საქართველო – საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში

საპარლამენტო არჩევნების მუხტი დღითი დღე მატულობს და ეს არცაა გასაკვირი, ყველა პარტია გამარჯვებისთვის იღვწის, პარლამენტის, მთავრობის „ჯადოსნური“ სავარძლების დასაკუთრებისთვის. ყველას სურს გამარჯვება და, ბუნებრივია, ისმის კითხვები: რა შედეგებით დასრულდება არჩევნები? რას შეცვლის ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება და რომელი პარტიები გადალახავენ საარჩევნო ბარიერს? - ამ კითხვებს ბოლო დროს ექსპერტები ხშირად სვამენ და ამ მხრივ განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებენ. უდავოა, რომ ეს არჩევნები, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, მართლაც მნიშვნელოვანი იქნება. ჯერ ერთი, არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება და მეორე - გაცხადდება, რამდენად დემოკრატიული ქვეყანა ვართ, ანუ როგორ შეაფასებენ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლები. ეს მნიშვნელოვანია, დასავლეთს არ უნდა შეეპაროს ეჭვი ჩვენს დემოკრატიულობაში. მათი მხრიდან ისედაც გაისმის გარკვეული პრეტენზიები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, ამიტომ საპარლამენტო არჩევნები სანიმუშოდ უნდა ჩატარდეს, საერთაშორისო დამკვირვებლებს, მით უმეტეს ოპოზიციას, საპრეტენზიო არაფერი უნდა ჰქონდეთ. ეს ეხება, როგორც საარჩევნო გარემოს, ისე შემდგომ პერიოდს. ქართული პოლიტიკის მთავარ აქტორებს („ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობა“) შორის გრძელდება დაპირისპირება, პოლარიზაცია, მიზნის მისაღწევად ერთმანეთს არ ინდობენ. ძირითადად, მმართველი პარტია „ნაცმოძრაობას“ 9-წლიან სისხლიან მმართველობას ახსენებს, ყოფილი სახელისუფლო ძალა კი „ქართული ოცნების“ უუნარობაზე საუბრობს, ხოლო „ლეიბორისტული პარტია“ ზემოაღნიშნულ პარტიებს ალიანსში სდებს ბრალს და იმასაც აღნიშნავს, რომ ისინი ოპოზიციური სპექტრის განადგურებას ცდილობენ. ურთიერთბრალდებებით არც დანარჩენი პარტიები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ვერ ჩამოყალიბდა ევროპული დონის სახელმწიფოდ, ეს ჩვენი ქვეყნის განვითარებას ძალზე აფერხებს. ჯერჯერობით არჩევნების პროგნოზირება რთულია, რადგან მანამდე თითქმის ათი თვეა, მაგრამ გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება. თუ სოციოლოგიურ გამოკითხვებს (პარტიების რეიტინგთან დაკავშირებით) ვენდობით, საარჩევნო ბარიერს მმართველი პარტიის გარდა გადალახავს ოთხი პარტია - „ნაცმოძრაობა“, „საქართველოსთვის“ „ლელო საქართველოსთვის“ და „გირჩი“-„დროას“ ტანდემი. ამ ოპოზიციური პარტიების პროცენტული მაჩვენებელი, ჯამში, 45 პროცენტს აღწევს, მმართველი პარტიის რეიტინგი - 35-ს, სხვა პარტიები საარჩევნო ბარიერს ვერ ლახავენ, რაც, ექსპერტთა თქმით, კოალიციური მთავრობის შექმნის ალბათობას არ გამორიცხავს, თუმცა შესაძლოა, სურათი საპირისპირო იყოს და მმართველმა გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვოს, რადგან მმართველმა პარტიამ შეძლო ქვეყანაში ომის თავიდან აცილება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი მაინც პარტიების ქმედებებზე, სტრატეგიაზე იქნება დამოკიდებული. ჯერჯერობით ოპოზიცია არადამაჯერებელია („ნაცმოძრაობაში“ შექმნილი ვითარება ამას ცხადყოფს), არც მმართველი გუნდის მდგომარეობაა იდეალური, რაც, გარკვეულწილად, აღიარა ივანიშვილმა, რომელიც დაუბრუნდა ქართულ პოლიტიკას. ამის მიზეზი, მისი თქმით, ის არის, რომ უნდა იზრუნოს მმართველი პარტია არ გაეხვიოს კორუფციაში და მისი წევრების ჭარბმა ძალაუფლებამ არ დააზიანოს ქვეყანა, ოპოზიცია კი აცხადებს, ივანიშვილი იმიტომ დაუბრუნდა პოლიტიკას, რომ სანქციები თავიდან აიცილოს. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარედ არჩევა მნიშვნელოვან დივიდენდებს მისცემს მმართველ გუნდს და მის რეიტინგს საკმაოდ აამაღლებს. ეს უდავოა. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან ექსპერტები. ვიცით, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე, სწორედ მისმა აქტიურობამ განაპირობა სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება, არჩევნებთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებას ავითარებს პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „ხელისუფლებამ, პირველ რიგში და ასევე ოპოზიციამ, უნდა გაარკვიონ, რა ლეგიტიმაციის ხარისხს ფლობენ მოცემული მომენტისთვის მოქალაქეების მხრიდან, ასევე, მათ უნდა შეისწავლონ, რა განაპირობებს მოქალაქეების მიერ ხელისუფლების კრიტიკას ან ნეგატიურ დამოკიდებულებას, რაც მთავარია, გასაგებ ენაზე დაწერილი პროგრამები უნდა შესთავაზონ მოსახლეობას და არა პოპულისტური დაპირებები“. ცხადზე უცხადესია, რომ 2024 წლის არჩევნები იქნება ქვეყნისთვის გზაგასაყარი, რადგან თუ არჩევნები ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით ჩაივლის, ეს მნიშვნელოვნად დააახლოებს ჩვენს ქვეყანას დასავლეთთან.

> *უდავოა, რომ წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ამერიკაში გასამართი საპრეზიდენტო არჩევნები. როგორ აისახება ეს გლობალურ პოლიტიკაზე? - ეს კითხვა ახლა აქტუალურია, ვინაიდან ამ არჩევნების შედეგები გარკვეულ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოზე, მათ შორის უკრაინასა და საქართველოზეც*

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, საქართველო რეგიონში დემოკრატიული იმიჯით სარგებლობს, რასაც განმტკიცება სჭირდება. დემოკრატიის საუკეთესო მაგალითი იქნება თანაბარ, კონკურენტუნარიან გარემოში სათანადოდ ჩატარებული არჩევნები და კონსენსუსი ოპოზიციასთან ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

რუსეთი – მესამე მსოფლიო ომის მოდერატორი

„რუსეთი მესამე მსოფლიო ომის მოდერატორიც გახდება, ოღონდაც კი პასუხი არ აგოს კრემლის ამჟამინდელ თუ წინამორბედ ბინადართა დანაშაულებებზე“, - აღნიშნავდა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული აფხაზი პუბლიცისტი ალექსეი თარია. მართლაც, ეს ქვეყანა 21-ე საუკუნეშიც აგრძელებს საკაცობრიო დანაშაულებს სხვადასხვა ქვეყნის მიმართ. საქართველო, მოლდოვა და ამჟამად უკრაინა ამის თვალსაჩინო მაგალითებია. თითქმის მესამე წელია, ვუყურებთ დამანგრეველ ომს, სისხლის ღვრას, სიკვდილს უკრაინაში, რუსი ჯარისკაცები, უფრო სწორად თანამედროვე ნაცისტები, ხოცავენ უდანაშაულო ქალებს, ბავშვებს, დღე არ გავა, უმძიმესი ტრაგედიის შესახებ არ გავიგოთ - განადგურებული სახლები, იავარქმნილი სოფლები და ქალაქები, ათიათასობით დახოცილი, ასიათასობით დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი... და ეს ხდება 21-ე საუკუნეში მთელი მსოფლიოს თვალწინ და ამაში გარკვეული პასუხისმგებლობა დასავლეთსაც ეკისრება. მან 2000-იან წლებში პუტინის რუსეთი ეკონომიკურად გააძლიერა, კრემლს არავინ საყვედურობდა ქვეყანაში დემოკრატიის შეზღუდვისთვის, სანქციები მხოლოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაუწესეს, ისიც - მოსაჩვენებლად. დასავლეთს მხოლოდ 2022 წლის 24 თებერვალს აეხილა თვალი. ამ უუნარობას, გაუბედაობას ეწირება ახლა უკრაინა, მისი ხალხი, რომელიც, ფაქტობრივად, იცავს დასავლურ კარიბჭეს რუსული სამხედრო ურდოებისგან. ამას, ახლა კარგად აცნობიერებენ დასავლეთში და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან უკრაინას რუსეთთან ომში, მაგრამ მხოლოდ დახმარებებით, მოწოდებებით ფსონს ვერ გავა, უფრო ქმედითი ნაბიჯებია საჭირო, რათა რუსეთმა ვერ გააგრძელოს სრულმასშტაბიანი ომი,რისი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა პუტინია. მან თავი ახალ სტალინად წარმოიდგინა. სურს საბჭოთა იმპერია შექმნას, რაც არ გამოსდის, უფრო ჰიტლერს ემსგავსება, როგორც ჩანს, სურს ხელახლა გახდეს პრეზიდენტი. ამბობს, რომ დასავლეთთან სამამულო ომშია. ჯერჯერობით რუს ერს აჯერებს ამ პროპაგანდას, შედეგიც სახეზეა. როგორც ცნობილია, მარტში რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. როგორც მოსალოდნელი იყო, პუტინი კენჭს იყრის და, სავარაუდოდ, აირჩევენ კიდეც, გასაოცარია რუსი ხალხის პოზიცია, რადგან პუტინის ამბიციებს შეეწირა ასიათასობით ადამიანის, მათ შორის რუსების სიცოცხლე. ქვეყანა დასანქცირებულია, ყველა ცივილიზებული სახელმწიფო თავს არიდებს რუსეთთან ურთიერთობას, ჩინეთი კი სარგებლობს ამ სახელმწიფოს მდგომარეობით და მის რესურსებს იაფად ითვისებს, თუმცა რუს ხალხს ეს დიდად არ ადარდებს. დავიმოწმებ ისევ აფხაზ პუბლიცისტ ალექსეი თარიას: „ვლადიმირ პუტინი ნებისმიერი ჭეშმარიტი რუსი პატრიოტისთვის მიუღებელი უნდა იყოს არა იმდენად რუსეთის ისტორიაში გამოვლენილი უვიცობის გამო, არამედ იმისთვის, რომ მისი მართვის პერიოდში რუსეთში მთლიანად გაჩერდა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების შენების ახლად ფეხადგმული პროცესი, რისთვისაც ამ ქვეყანას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოეკითხება“. სჯობს ადრე მოეკითხოს, რადგან პუტინი დაემუქრა დასავლეთს, რომ ომი უკრაინაში კიდევ 5 წელი გაგრძელდება და რუსეთის გამარჯვებით დასრულდება. რამდენ ხანს გასტანს ომი, ეს ძნელი ძნელი სათქმელია, თუმცა ის კი ცხადია, რომ თუ დასავლეთი რეალურ დახმარებას გაუწევს უკრაინას და ამავე დროს მომაკვდინებელ სანქციებს დაუწესებს რუსეთს, მაშინ რუსეთ-უკრაინის ომი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდება, ეს დასავლეთმა სათანადოდ უნდა გააანალიზოს და ამ მიმართულებით თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას.

ამერიკის შეერთებული შტატები – წლის არჩევნები

უდავოა, რომ წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ამერიკაში გასამართი საპრეზიდენტო არჩევნები. როგორ აისახება ეს გლობალურ პოლიტიკაზე? - ეს კითხვა ახლა აქტუალურია, ვინაიდან ამ არჩევნების შედეგები გარკვეულ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოზე, მათ შორის უკრაინასა და საქართველოზეც. პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატებს (ბაიდენი, ტრამპი) შორის მკაფიო განსხვავებაა, უმეტესად საგარეო პოლიტიკის კუთხით, რაც დასავლეთის შეშფოთებას და რუსეთის ეიფორიას იწვევს. თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი და ბაიდენი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ბუნებრივია, ამ არჩევნების მნიშვნელობა გაიზრდება, რადგან ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო პოლიტიკა შესაძლოა ძირფესვიანად ამოყირავდეს. როგორც ცნობილია, ტრამპი დითირამბებს არ იშურებს პუტინის მისამართით, ამბობს, რომ 24 საათში დაასრულებს ომს, მაგრამ არ აკონკრეტებს, როგორ მოახერხებს ამას. პუტინი არ აპირებს ომის შეწყვეტას, პირიქით, იმუქრება მთელი უკრაინის დაპყრობით, ამავე დროს, დასავლელი ლიდერებისგან ითხოვს მსოფლიოს ახალ გადანაწილებას, რასაც ეწინააღმდეგება როგორც უკრაინა, ისე ევროპა და კოლექტიური დასავლეთი. სხვათა შორის, არც ბაიდენს აქვს სატრაბახო ამ მიმართებით. მას საყვედურობენ, რომ არ ცდილობს უკრაინის დამაჯერებელ გამარჯვებას ამ ომში, ანუ მისი მიზანია არც უკრაინამ მოიგოს დამაჯერებლად და არც რუსეთი დამარცხდეს საგრძნობლად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ის მიზანია, ომი გახანგრძლივდეს რამდენიმე წლით მაინც, რაც, გარკვეულწილად, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ამ ქვეყანას აქვს რესურსი საომრად, ანუ მილიონობით ადამიანი შეუძლია შესწიროს ომს, პასუხს არავინ მოსთხოვს, ომში მოსკოველები და პეტერბურგელები არ მიჰყავს, ბუნტმა რომ არ იფეთქოს, ძირითადად, იღუპებიან არარუსი ჯარისკაცები (ჩუვაშები, ჩრდილოკავკასიელები, თათარსტანის მოსახლეობა...), უკრაინას კი ამ მხრივ რესურსი შეზღუდული აქვს, იღუპებიან ყველაზე გამორჩეული და ნათელი პიროვნებები... რუსეთის საფრთხეზე მიუთითებს ევროკავშირის მაღალჩინოსანი ჯოზეფ ბორელი: „რუსეთი ვერასდროს გადაიქცა ერად. ის ყოველთვის იმპერია იყო ჯერ მეფის, შემდეგ საბჭოთა მმართველობისას და ახლა - პუტინის პირობებშიც. ეს რუსეთის მუდმივი მდგომარეობა და მისი პოლიტიკური იდენტობაა. შედეგად კი, რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს მეზობლებისთვის და განსაკუთრებით - ჩვენთვის“. სწორედ ამ საფრთხეს უმკლავდება უკრაინა, ახლა რუსი ჯარისკაცი რომ არ დგას პოლონეთის საზღვართან (უკრაინის მხრიდან) და აშშ-ის არმიას არ უწევს ბრძოლა აღმოსავლეთ ევროპის სუვერენიტეტისთვის, სწორედ უკრაინის დამსახურებაა, რაც ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააანალიზოს. ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებამდე თითქმის ათი თვე დარჩა, და ცხადია, შედეგების გათვლა ექსპერტებს შეუძლებლად მიაჩნიათ. სავარაუდოდ, ბრძოლა დაძაბული იქნება და შედეგები იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელი საკითხია ამომრჩევლისთვის გადამწყვეტი. სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, ტრამპი ბაიდენს 4 პროცენტით უსწრებს, ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს, თუმცა ის კი ცხადია, რომ ამერიკის არჩეულ პრეზიდენტს უმნიშვნელოვანესი საკითხების (რუსეთ-უკრაინის ომი, ჩინეთის ამბიციების მოთოკვა, მოკავშირეების დაცვა) მოგვარება მოუწევს.

> *ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო პოლიტიკა შესაძლოა ძირფესვიანად ამოყირავდეს. როგორც ცნობილია, ტრამპი დითირამბებს არ იშურებს პუტინის მისამართით... არც ბაიდენს აქვს სატრაბახო ამ მიმართებით. მას საყვედურობენ, რომ არ ცდილობს უკრაინის დამაჯერებელ გამარჯვებას ამ ომში, ანუ მისი მიზანია არც უკრაინამ მოიგოს დამაჯერებლად და არც რუსეთი დამარცხდეს საგრძნობლად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ის მიზანია, ომი გახანგრძლივდეს რამდენიმე წლით მაინც, რაც, გარკვეულწილად, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ამ ქვეყანას აქვს რესურსი საომრად, ანუ მილიონობით ადამიანი შეუძლია შესწიროს ომს, პასუხს არავინ მოსთხოვს*

წმინდა მატრონას ხატი და ორად გაყოფილი საზოგადოება

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

წმინდა მატრონა მოსკოველის ხატის სამების საკათედრო ტაძარში დაბრძანებას საზოგადოებაში დიდი აყიოტაჟი მოჰყვა, რაც დღესაც არ ჩამცხრალა

ხატი რამდენიმე თვეა, სამების საკათედრო ტაძრის კედელზეა, მაგრამ საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა გიორგი კანდელაკმა საკუთარ სოციალურ ქსელში ხატის ვიდეო გამოაქვეყნა წარწერით „საქართველოს დამოუკიდებლობის განადგურების ინიციატორის, ათასობით სასულიერო პირის მკვლელის და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შემოქმედის იოსებ სტალინის ხატი სამების საკათედრო ტაძარში“.

ხატი მოგვითხრობს წმინდა მატრონას ცხოვრებაზე, სადაც ერთ-ერთი ფრაგმენტია სტალინთან შეხვედრაც. ხატი სამების ტაძარში პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა დააბრძანეს. ირმა ინაშვილმა 7 იანვარს საკუთარ ფეისბუქგვერდზე დაწერა: „რას ვიზამთ, ასეთ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება, რომ სულ თავი უნდა იმართლოს ჩვენნაირმა ხალხმა. არ ვაპირებთ თავის მართლებას. ჩვენ შევწირეთ ეს ხატი სამების ტაძარს... ძალიან დიდმა პროფესიონალმა, ცნობილმა ხატმწერმა, არაჩვეულებრივმა ადამიანმა დაწერა ეს ხატი, რომელსაც ცოდნაც გააჩნია სათანადო და ცხოვრების წესითაც პასუხობს ხატმწერის კრიტერიუმებს“. მოგვიანებით ნატა ფერაძემ ხატს, პროტესტის ნიშნად, ლურჯი საღებავი შეასხა.

11 იანვარს საქართველოს საპატრიარქომ დაგმო ნატა ფერაძის ქმედება და მატრონა მოსკოველის ხატის შემწირველებს მოუწოდა, შეცვალონ ხატზე გამოსახული სტალინთან შეხვედრის ეპიზოდი, მაგრამ თუ შემწირველი არ შეცვლის ამ ფრაგმენტს, საპატრიარქო ამას თავად გააკეთებს.

საპატრიარქოს განცხადებას ირმა ინაშვილმა ასე უპასუხა:

„სრულიად მისაღებია საპატრიარქოს პოზიცია. ჯერ კიდევ ორი დღის წინ ვწერდი: თუ ეკლესია გადაწყვეტს, ვთხოვოთ ხატმწერს და ეს ფრაგმენტი სხვა შინაარსის ფრაგმენტით შეცვალოს. ვინაიდან საპატრიარქო მოგვიწოდებს, უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხატის შეურაცხყოფა უნდა ვაპატიოთ ვინმეს“.

წმ. მატრონას ხატი ისევ სამების ტაძარშია დაბრძანებული. 13 იანვარს „კონსერვატიული მოძრაობის“ წევრებმა თბილისში აქცია გამართეს, სადაც დამნაშავეთა სათანადო მუხლით დასჯა მოითხოვეს.

დღეს საზოგადოებაში აზრი ორად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი თვლის, რომ წმ. მატრონას ხატი აუცილებლად უნდა იყოს სამების ტაძარში და რომ სტალინის ფრაგმენტი პრობლემას არ წარმოადგენს. ისინი გმობენ ნატა ფერაძის ქმედებას და მის დასჯას მოითხოვენ, მეორე ნაწილი ხატს წმ. მატრონას ხატად არ აღიქვამს - სტალინის ხატს უწოდებს, ნატა ფერაძის ქმედებას კი იწონებს. მოვისმინოთ საზოგადოების ორივე ნაწილის მოზიცია.

მარიამ რთველიაშვილი:

- პირდაპირ ვთქვათ: კოლექტიური თუ ინდივიდუალური ნატა ფერაძე საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესების გამტარებელია საქართველოში - მათი მიზანია სუვერენიტეტის, ოჯახისა და ტრადიციული კულტურისთვის ძირის გამოთხრა. სწორედ ამას ემსახურება მსგავსი პერფორმანსები - შეტევა საპატრიარქოზე, ქრისტიანობაზე, ოჯახზე და ასე შემდეგ. წმინდა მატრონას ცხოვრება ვინც იცის, ის მიხვდება, რატომაც არის ხატზე დატანილი სტალინის გამოსახულება. აქ არის პატარ-პატარა ფრაგმენტები წმინდა მატრონას ცხოვრებიდან, მათ შორის, სტალინთან შეხვედრაც. სტალინს წმინდანისთვის დამახასიათებელი შარავანდედი თავზე არ ადგას. ამას ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, მაგრამ ლიბერალების აზროვნებას აყოლილები, სხვანაირად ხედავენ ამ ყველაფერს. მაინცდამაინც რატომ მოხდა ეს ყველაფერი შობის დღესასწაულის დროს, აქამდე ხომ ეს ხატი დაბრძანებული იყო და პროტესტი არავის გამოუთქვამს? ეს იყო მიზანმიმართული შეტევა. რაც შეეხება საპატრიარქოს პოზიციას, ყველაფერი იყო სწორად გადმოცემული, მაგრამ თუ ამ ხატში რაიმე სცენა არაკანონიკურად ითვლება, რატომ არ იყო აქამდე შესწავლილი?! რაც შეეხება სამართლებრივ საკითხს, მნიშვნელოვანია და მისასალმებელი, რომ მკაცრდება კანონი რელიგიურ სიწმინდეთა შეურაცხყოფის კუთხით, ასეთი საქციელი მკაცრად უნდა დაისჯოს.

ნატალი გოლიაძე:

- ვფიქრობ, მატრონას ხატის სამებაში გამოჩენა სტალინთან, კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს ტირანთან ერთად, აბსოლუტურად მიუღებელი და ლოგიკას მოკლებულია. სტალინი, ისევე როგორც, ლენინი, ეკლესიის მტერია. ვისაც სკოლაში ორი ფურცელი გადაუშლია, იცის, რომ სტალინმა „განაკულაკა“ ეკლესია, დახვრიტა მღვდლები, სასულიერო ელიტა, ასევე, დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, რომლის შედეგებსაც დღემდე ვიმკით... სტალინი მაოხრებელი მკვდარია და მისი ხატზე გამოსახვა სრულიად სამარცხვინოა. იმაზე აპელირება, რომ ხატებზე ბოროტების ასახვა ნორმაა, არ არის ხელჩასაჭიდი არგუმენტი, ამაზეც ბევრი აზრი გამოითქვა. საქართველო ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა რუსეთისა და რუსული ეკლესიის გავლენისაგან, ასევე, ცნობილია ის ფაქტიც, რომ საპატრიარქო სავსეა „კაგებეშნიკებით“. რაც შეეხება ქალბატონი ნატა ფერაძის ხისტ პროტესტს, ვფიქრობ, სწორი და აბსოლუტურად გამართლებული ქმედება იყო. როცა ხალხი ერთიანად ვერ ან არ იჩენს ინიციატივას, რომ რაიმე სწრაფად შეიცვალოს, იქ უკვე ცალკეული ინდივიდები იღებენ ასეთ გადაწყვეტილებებს. ჩემთვის გაუგებარია ზოგიერთი ქართველის ეგზალტაცია ამ ხატის მიმართ - რატომ უნდა ენიჭებოდეს გაუგებარი წარმომავლობის რუსულ ხატებს საქართველოში მნიშვნელობა? ეს თემა არ ეხება მხოლოდ მორწმუნეებს თუ მრევლს, ეს ეხება საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ამ ქვეყანაში რუსულ ორბიტაზე არც ერთი წამით არ დაბრუნდებიან.

თემო ტარიელაძე:

- სტალინი იმ რეჟიმის შემოქმედია, რომლის მსხვერპლიც უამრავი ადამიანი გახდა - მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, სასულიერო პირები. ამ ისტორიული რეალობის შემდეგ, სადაც და როგორც უნდა გამოსახონ იგი, მაინც იმ საშინელების შემოქმედად დარჩება, რაც ყველამ ძალიან კარგად ვიცით. უბრალოდ, შეუძლებელია მისი რომანტიზება მოხერხდეს იმ საზოგადოებაში, სადაც მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, ამბროსი ხელაიას, გიორგი მაზნიაშვილს და კიდევ უამრავ ასეთს იცნობენ, მაგრამ ზოგს ჰგონია, სტალინის იდეალიზაციას მის გამოსახულებაზე საღებავის შესხმით შეუშლის ხელს. ამ ხატის კანონიკურ მხარეს ან წმინდა მატრონას ცხოვრებას მე ვერ შევეხები - არაკომპეტენტური ვარ, თუმცა ჩემთვის ეკლესიის აზრი მნიშვნელოვანია. სავსებით მისაღებია ეკლესიის დღევანდელი პოზიცია, მხოლოდ იმიტომაც უნდა წაიშალოს სტალინი ამ ხატიდან, რომ რაც ერთმანეთთან გვაპირისპირებს, ერთმანეთთან მისასვლელ გზას გვიჭრის, ჩვენი ქვეყნის ერთი მტრისთვისაა მომგებიანი. ჩვენ მტრის წისქვილზე წყალი არ უნდა დავასხათ. ვფიქრობ, ირიბად თუ პირდაპირ, ამ ხატზე სტალინის გამოსახვის მიზანი პროვოკაცია იყო, ნატა ფერაძის მიზანი - ამ პროვოკაციაზე ფრთების შესხმა, მაგრამ ტაძრებში, ქუჩებში საღებავით წუწაობა არა მგონია, XXI საუკუნეში გამოხატვის ადეკვატური საშუალება იყოს, მაგრამ ერთი ძალიან დიდი პლუსი ამ პროცესებსაც ჰქონდა - კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ არც საუბარი და არც ერთმანეთის მოსმენა არ შეგვიძლია. ესეც სტალინის ბრალია? ახლა ძველ მანკიერებებზე უარი უნდა ვთქვათ და ვილაპარაკოთ.

> ***სტალინი იმ რეჟიმის შემოქმედია, რომლის მსხვერპლიც უამრავი ადამიანი გახდა - მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, სასულიერო პირები. ამ ისტორიული რეალობის შემდეგ, სადაც და როგორც უნდა გამოსახონ იგი, მაინც იმ საშინელების შემოქმედად დარჩება, რაც ყველამ ძალიან კარგად ვიცით***

ზურაბ წულაია:

- დიდი შეცდომა იყო სტალინის გამოსახულებით ხატის ეკლესიაში განთავსება. ყველა მორწმუნე ადამიანის და მთლიანად ქართველი ერის შეურაცხყოფაა, ნებისმიერი სახით, ინტერპრეტაციით სტალინის გამოსახულების წარმოდგენა სამების ტაძარში. ყველამ ვიცით და ზოგს ახსოვს კიდეც ის რეპრესიები, რასაც სტალინი ახორციელებდა. ამ შემთხვევაში, თავად ხატი კარგავს იმ რელიგიურ ღირებულებას, რაც მას ტრადიციულად აქვს. ნატა ფერაძის ქმედება ნორმალურია. ეს პროტესტი უნდა დაუფასონ მორწმუნეებმა, რადგან რომ არა მისი პროტესტი, სტალინი დიდი ხნით იქნებოდა სამების საკათედრო ტაძარში. თავად საპატრიარქოს არ უფიქრია იმაზე, თუ რამდენად დიდი მკრეხელობა იყო სტალინის გამოსახულება ტაძარში და რამდენად დიდი ზიანის მოტანა შეეძლო მას როგორც სარწმუნოებისთვის, ისე თავად საპატრიარქოსთვის. ჩემი აზრით, ვისთანაც კითხვა უნდა გააჩნდეს „ალტ ინფოს“ მორწმუნეთა ნაკადს თუ საპატრიარქოს, ეს ირმა ინაშვილია, რადგან სწორედ მან აჩუქა ხატი სამებას, სწორედ მისი დამსახურებაა ეს აყიოტაჟი. ვინ იცის, იქნებ მიზანიც ეს იყო, რადგან, ზოგიერთის აზრით, სტალინის ეპიზოდის ამ ხატში განთავსება რუსეთის განკარგულება იყო. ნატა ფერაძისთვის სახალხო სასამართლოს მოწყობა და მთის კანონებით დასჯა ცივილიზებული ქართველებისთვის არასდროს იქნება ნორმა. მადლობა პოლიციას, რადგან მან თავისი მოვალეობა შეასრულა.

თაკო ჩუბინიძე:

- წმინდა მატრონას ხატზე დატანილია ეპიზოდი, სადაც სტალინი საკუთარი გადაწყვეტილებით მიდის მასთან რჩევისთვის. ეს თემაც შეგვიძლია განვავრცოთ, მაგრამ ახლა საინტერესო ის უფროა, რატომ გამოიწვია ხატმა ასეთი აყიოტაჟი, როდესაც შარავანდედი ხატზე ადგას წმინდა მატრონას და არა სტალინს. ზოგადად, ხატებზე არ არიან მხოლოდ წმინდანები. რაც შეეხება ნატა ფერაძის ქმედებას, ეს ვანდალიზმია, საშინელი პროვოკაციული საქციელი. რა შუაშია ამ თემასთან ეს ქალი, რომელსაც არც რელიგია აინტერესებს და არც ეკლესია? მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ხატზე? ეს გაკეთა საზოგადოების დიდი ნაწილის გასაღიზიანებლად. მეტი რა საქმე აქვთ ასეთ სულით დაცემულ ადამიანებს?! ასეთი ამორალური ფორმის შემდეგ, თავად განსაჯეთ, ნატა ფერაძე როგორი პიროვნებაა.

დათა ბესელია:

- წმინდა მატრონას შესახებ არაფერი ვიცოდი, სანამ ეს ფაქტი არ მოხდა. შემდეგ ინტერნეტში გავეცანი ჩემთვის საინტერესო ადამიანების აზრს ამ ხატთან დაკავშირებით და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს ქალი წმინდანი არ იყო. რომც ყოფილიყო, ჩვენ რა შუაში ვართ რუს მატრონასთან? დღეს რომ ასეთი რეაქცია აქვთ, სად იყვნენ ის ადამიანები მაშინ, როდესაც საყდრისი ააფეთქეს? სად არის ეს ხალხი, როდესაც გელათი ნადგურდება? მაინცდამაინც რუს მატრონაზე რატომ ატეხეს აყიოტაჟი? ეს ხალხი „ალტ ინფოს“ მრევლია. როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა მატრონასთვის და სტალინისთვის თავი გამოიდოს? რაც შეეხება ნატა ფერაძეს, ეს ქალბატონი ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას - არა. უმეტესობას არ მოსწონს, ალბათ, ის ფორმა, რა ფორმითაც აზრსა თუ სათქმელს გამოხატავს. ფერაძე ყოველთვის საქმით ამბობს თავის სიტყვას და არა - კლავიატურით, როგორც უმეტესობა. როგორ ფიქრობთ, რა უფრო დიდი ვანდალიზმია - სტალინის გამოსახვა მატრონასთან ერთად თუ ამ ხატისთვის საღებავის შესხმა და საკუთარი ადგილის მიჩენა? მე მგონია, რომ პირველი. ასე რომ, ნატა ფერაძის ქმედება ვანდალიზმიც რომ იყოს, ამ ვანდალიზმით საზოგადოებისათვის საჭირო საქმე გაკეთდა.

ქობულეთის მერია გაძლევს შანსს

ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება იწყება. ინფორმაციას ქობულეთის მერია ავრცელებს

„თუ ხართ 14-დან 29 წლამდე და გსურთ სხვადასხვა საინტერესო ინიციატივის/იდეის განხორციელება, ქობულეთის მერია გაძლევს შანსს, მოიპოვო პროექტისთვის დაფინანსება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება ერთ პროექტზე არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია: განცხადება მერის სახელზე; პირადობის მოწმობის ასლი; საინფორმაციო ბარათი საჯარო რეესტრიდან; პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: თავფურცელი; ინფორმაცია პროექტის ავტორისა და შემსრულებლის შესახებ; პროექტის აღწერა; პროექტის შესრულების განრიგი; ბიუჯეტი; მოსალოდნელი შედეგი; ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის საბანკო რეკვიზიტები; ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში - მშობლისა ან მეურვის ანგარიშის ნომერი პირადობის ასლთან ერთად. - განცხადებების მიღება 10 თებერვლამდე გაგრძელდება.

კონკურსი ჩატარდება შემდეგ ეტაპებად: პროექტის წარდგენა-შეფასება, გასაუბრება, გამარჯვებულის გამოვლენა; ხელშეკრულების გაფორმება; ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

„ჩვენი სამსახურის მოვალეობაა, ნებისმიერი მიმართულებით გვქონდეს მოწესრიგებული გზა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილებას რამდენიმე თვის წინ სათავეში ***ვიტალი ხიმშიაშვილი*** *ჩაუდგა.*

- ბატონო ვიტალი, გილოცავთ ახალ წელს. როგორ დაიწყეთ 2024?

- დიდი მადლობა, მეც გილოცავთ და მშვიდობიან, წარმატებულ, ნაყოფიერ წელს ვუსურვებ თქვენი გაზეთის გუნდსა და სრულიად საქართველოს. 2024 წელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილების თანამშრომლებმა აქტიური საქმიანობით დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ წლის პირველი კვირა უქმედ იყო გამოცხადებული, 2 იანვრიდან მექანიზატორები, მეგზევეები და ადმინისტრაციაც 24 საათის განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების თოვლის საფარისგან გაწმენდის და მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოებით ვიყავით დაკავებულნი. მეწყერი ჩამოწვა შუახევი-შუბნის, შუახევი-უჩამბის, შუახევი-ჭვანა-ნაღვარევის გზებზე. განსაკუთრებული მობილიზება გახდა საჭირო 12 და 13 იანვარს, როცა თოვლის საფარმა მეტწილ სოფლებში 50 სანტიმეტრს მიაღწია. 15 იანვარს ყველა ადმინისტრაციულ ცენტრამდე მანქანები მოძრაობდნენ.

- რა მემკვიდრეობა გერგოთ?

- საქმე და მხოლოდ საქმე, თანაც - მომეტებული. თუმცა სანამ შევუდგებოდი უფლებამოსილების განხორციელებას, ვიცოდი, დიდი გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდებოდი. კოლექტივთან, დეპარტამენტთან, მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით ვცდილობთ, დავძლიოთ ყველა გამოწვევა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და განვითარების მიმართულებით. ვფიქრობ, პროცესი კარგად დავიწყეთ. რთული რელიეფური და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მთიან აჭარაში ზამთარი ძალიან მკაცრია, შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე თოვლის საფარისგან გაწმენდა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოებში ჩართულია საგზაო დეპარტამენტის 22 ერთეული ტექნიკა და ადამიანური რესურსი - 100-ზე მეტი თანამშრომელი.

- როგორია აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა?

- ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით თანადგომისთვის მადლობას გადავუხდი აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელ მამუკა თურმანიძეს, მის მოადგილე როლანდ ბოლქვაძეს, დეპარტამენტის თითოეულ თანამშრომელს და მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძეს. ისინი ჩვენს პრობლემებზე დროულად რეაგირებენ და მათი გამოსწორების გზებსაც ოპერატიულად გვთავაზობენ.

- ყოველი ხელმძღვანელი, თანამდებობაზე რომ მოდის, ცდილობს ახალი გუნდის შემოკრებას...

- თითქმის ოთხი თვეა, რაც აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილებას ვხელმძღვანელობ და ჯერჯერობით, არ მიფიქრია საკადრო ცვლილებებზე, რასაც სამომავლოდ არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემს გუნდს, ნათესავ-მეგობრებს შემოვიკრებ. ჩემთვის პრიორიტეტი საქმის კეთებაა. ამიტომ ვინც საქმეს პროფესიულ დონეზე აკეთებს, ის ჩემი გუნდის წევრია.

- წლების განმავლობაში საუბრობდნენ ტექნიკური პარკის განახლებაზე, მექანიზატორთა მომზადების აუცილებლობაზე. ამჟამად რა სიტუაციაა?

- აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტს მუხლუხა ბულდოზერების შესაძენად ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვს მიმწოდებელთან. მარტისთვის, შუახევის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 9 ერთეული ტექნიკის გადმოცემა, რის შედეგადაც ტექნიკური პარკი თითქმის სრულად განახლდება. რაც შეეხება მექანიზატორთა მომზადებას, სასწავლო ცენტრ „ბლექსთან“ თანამშრომლობით, რომელმაც გასულ წელს შუახევის მუნიციპალიტეტში ფილიალი გახსნა, ვფიქრობ ამ პრობლემის მოგვარებას.

- უკვე ცნობილია მიმდინარე წლის პრიორიტეტები. რომელია მნიშვნელოვანი?

- მიმდინარე წელს შუახევის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 4 ახალი ხიდის, 40 საყრდენი კედლის, 2 დამცავი ნაგებობის (ზღუდარი) მშენებლობა და 15 კილომეტრამდე საავტომობილო გზებზე ასფალტ-ბეტონის, ასევე, სოფლების შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგება. მარტის დასაწყისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და ქონების მოვლა-შენახვის სამსახური, დეპარტამენტის შუახევის მუნიციპალიტეტის განყოფილება აქტიურად დავიწყებთ მუნიციპალიტეტის ყველა მთის მიმართულებით საავტომობილო გზების გაფართოება-მოხრეშვა-მოშანდაკებას, ასევე, ნაწილობრივ დავიწყებთ ბეტონის საფარის დაგების სამუშაოებს. შესაბამისად, ნებისმიერი ავტომობილით ყველა მიმართულებით შესაძლებელი იქნება გადაადგილება. ჩვენი სამსახურის მოვალეობაა, ნებისმიერი მიმართულებით გვქონდეს მოწესრიგებული გზა, არ აქვს მნიშვნელობა, ეს შიდასასოფლო, უბნებთან დამაკავშირებელი თუ ტურისტული დანიშნულების გზა იქნება. მაქსიმალურს გავაკეთებთ ჩვენი კომპეტენციის და შესაძლებლობების ფარგლებში, რომ უცხოელი და ადგილობრივი ტურისტებისთვის ყველა მიმართულებით გადაადგილება იყოს მოსახერხებელი და კომფორტული.

- დასაქმებულთა მატერიალური წახალისებისთვის რას აკეთებთ?

- წახალისების მიზნით, აჭარის საგზაო დეპარტამენტი ყოველწლიურად აჯილდოებს წარმატებულ მეგზევეებს, ასევე, თითოეულ თანამშრომელს წლის ბოლოს ერიცხება ფულადი ჯილდო, რაც, ვფიქრობ, მათთვის მოტივაციის ამაღლებაა.

- ზამთარი ძალაშია, სტიქიური პროცესებიც არ ცხრება. რას აპირებთ, რომ წელიწადის ეს დრო უმტკივნეულოდ გადაიტანოთ?

- დეპარტამენტის ბალანსზე შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული 22 ერთეული ტექნიკა და ადამიანური რესურსი მაქსიმალურადაა მობილიზებული და მზადყოფნაშია, რომ დროულად გაიწმინდოს გზის სავალი ნაწილები თოვლის საფარისგან, რათა მოსახლეობამ შეუფერხებლად შეძლოს გადაადგილება.

- თქვენი ბიუჯეტი თუ გასწვდება ჩამოთვლილ სამუშაოებს?

- ზემოთ მოკლედ ვისაუბრე წელს დაგეგმილ პროექტებზე, თუმცა ჯერ კიდევ გვრჩება ძალიან ბევრი გამოწვევა, მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას რომ აფერხებს. საგზაო დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, დავძლევთ პრობლემებს არსებული ბიუჯეტით.

> ***„ მიმდინარე წელს შუახევის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 4 ახალი ხიდის, 40 საყრდენი კედლის, 2 დამცავი ნაგებობის (ზღუდარი) მშენებლობა და 15 კილომეტრამდე საავტომობილო გზებზე ასფალტ-ბეტონის, ასევე, სოფლების შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგება***

სტუმარი

მისი შთაგონების წყარო ბუნება და მისით ტკბობაა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია ბათუმელი შემოქმედი ***ნანა ფუტკარაძე.*** *მან ყოფილი №28 საჯარო სკოლა დაამთავრა, სწავლობდა ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. მისი ნახატები ფერთა სიმრავლით გამოირჩევა. ნანა, ასევე, ხელნაკეთ თოჯინებს, საახალწლო, სააღდგომო დეკორებსა და აქსესუარებს ამზადებს. ამაზე თავად გვესაუბრება.*

- პირველი ნაბიჯები - მხატვრობაში...

- ბაღის პერიოდიდან მოყოლებული, ძალიან მიყვარდა ხატვა. მახსოვს, როგორ გამოვირჩეოდი ნახატებით, ასევე, ბუნებრივი მასალებით შექმნილი კომპოზიციებით. ასე იყო სკოლის პერიოდშიც.

- როგორი იყო თქვენი შემოქმედებითი გზის დასაწყისი?

- სკოლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო სასწავლებელში ჩავაბარე. ეს იყო შემოქმედებითი გზის დასაწყისი. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს საყვარელ პედაგოგ ლიზი ტუჩაშვილს, რომელმაც ძალიან მოკლე დროში შემაყვარა ფერწერა, მასწავლა ფერთა გამჭვირვალობის აღქმა, რაც დღესდღეობით ნახატებს მილამაზებს.

- არსებობს მოსაზრება, რომ მხატვარმა აუცილებლად სამხატვრო აკადემია უნდა დაამთავროს, ეს ბევრს თავდაჯერებულობას უკარგავს, თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?

- აკადემიის დამთავრება აუცილებელი არაა იმისათვის, რომ

მხატვარი პროფესიონალად ჩამოყალიბდეს. ეს მხატვრის შინაგანი სამყაროა, რომელიც ტილოზე აისახება. არ ვთვლი, რომ საუკეთესოდ ვხატავ, მაგრამ რასაც ვაკეთებ, მთელი სითბოთი, სიყვარულით იქმნება. ამას საზოგადოების შეფასება და სიყვარული მაგრძნობინებს.

- რას გადმოსცემთ თქვენი ნახატებით?

- ჩემი ნახატების ძირითადი თემატიკა ბუნება და ყვავილებია, აგრეთვე, ანგელოზები, რისი ხატვაც ყველაზე მეტად მაბედნიერებს.

- როგორ ჩამოყალიბდა თქვენი ხელწერა?

- ხატვის დროს წინასწარ არასდროს ვფიქრობ და არ ვქმნი ესკიზებს. ტილოს თეთრ სივრცეს როგორც კი შევხედავ, უკვე ვიცი, რაც უნდა დაიხატოს. შემდეგ ბუნებრივად ლაგდება თემაც და ფერებიც.

- რა არის თქვენთვის შთაგონების წყარო?

- სიმშვიდე, ბუნებაში გასვლა და ტკბობა. რაც მთავარია, ოჯახის ყველა წევრი და ახლობელი კარგად უნდა მყავდეს. ეს მიქმნის განწყობას.

- როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს, როგორც მხატვარს?

- ყოველთვის კრიტიკული ვარ საკუთარი ნამუშევრების მიმართ. ალბათ თავდაჯერებულობა მაკლია, სულ რაღაცის ძიებაში ვარ. ბევრი მიწვევა მაქვს ტელევიზიებსა და გამოფენებზე, მაგრამ ამ ეტაპზე ჩრდილქვეშ ყოფნას და ჩემთვის ხატვას ვამჯობინებ. დადებითი რაც მაქვს, ალბათ, უბრალოებაა. დანარჩენი სხვამ უნდა შეაფასოს.

- ხატვა, როგორც შემოსავლის წყარო...

- ხატვა და ხელნაკეთ ნივთებზე მუშაობა ჩემი შემოსავლის წყაროა. მაქვს ფეისბუქ და ინსტაგრამგვერდები სახელწოდებით - „ფერმწერი ნანუჩი ფუტკარაძე“, საიდანაც ვყიდი ნამუშევრებს.

- საყვარელი მხატვარი...

- თანამედროვე საყვარელი მხატვარი ბევრი მყავს, ვერ გამოვარჩევ.

- პერსონალური გამოფენა...

- აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს ახლო მომავალში - გამოფენებზე.

- ყველაზე დიდი წარმატება პროფესიაში?

- ყველაზე დიდ წარმატებას დიდი პაუზის შემდეგ მივაღწიე. მოკლე პერიოდში საზოგადოების მხრიდან ჩემ მიმართ დადებითი განწყობა და სიყვარული ვიგრძენი. დიდი მადლობა მათ, ეს ჩემთვის სტიმულია, მაბედნიერებს და მუშაობის პროცესს მილამაზებს. ვამზადებ, აგრეთვე, ხელნაკეთ საახალწლო და სააღდგომო დეკორებს, თოჯინებს.

- როგორია მათი დამზადების ტექნოლოგია და სულ რამდენი თოჯინა გყავთ?

- თოჯინების შექმნა ჩემი ჰობია და საკმაოდ ბევრიც შევქმენი (მცირე ზომებს ვგულისხმობ). ჩემი თოჯინები ძალიან ბევრ ოჯახში ამშვენებს საახალწლო ნაძვის ხეებს. ვცდილობ, იგი ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი მასალებით დავამზადო. ეს თოჯინები ჩემი შინაგანი სითბოთია გაჯერებული და ამას ხშირად აღნიშნავენ კიდეც.

- დაბოლოს, რა გეგმები გაქვთ? როგორ და სად წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი გამოფენა?

- ვემზადები, გადავდგა შემდეგი ნაბიჯები ჩემს შემოქმედებაში, რათა უკეთ გამიცნონ ხელოვნების მოყვარულებმა. ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა მინდა ჯერ ჩემს ზღვისპირა ქალაქში მოეწყოს, შემდეგ კი სხვაგანაც. წარმატებებს გისურვებთ ყველას.

წარმატების საწინდარი - ნორმალური სპორტული ბაზები

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი მატერიალური ბაზა, ღია და დახურული სპორტული მოედნები სოფლებში, ცალკეულ სპორტულ სახეობებში - სკოლებში, მრავალკომლიან სოფლებში სპორტული სექციები - ეს ყველაფერი საფუძველს ქმნის, რომ შუახევის მუნიციპალიტეტში წარმატებული სპორტსმენების მომზადება სათანადო სიმაღლეზე იდგეს. სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებაზე გვესაუბრება ა(ა) იპ „შუახევის სპორტული ცენტრის“ დირექტორი ***რამინ ჯოიძე***

- მალე 60 წელს უკან მოვიტოვებ. წლებია საჯარო სამსახურებში ვარ დასაქმებული. კარგად მახსოვს, რა მდგომარეობა გვქონდა შუახევში 10-15 წლის წინ და რა მდგომარეობაა ახლა. ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, ვითარდება სპორტული ინფრასტრუქტურა. თაობების ოცნება იყო, თუნდაც რაიონის მასშტაბით, ფეხბურთის სტადიონის არსებობა. ჯერ ხიჭაურის დასახლების სიახლოვეს, მდინარეების - ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან სცადეს მისი მოწყობა. მოვარდნილმა ღვარცოფმა არათუ სტადიონი, ტერიტორიაც აღარ დატოვა. დაბა შუახევში ტერიტორიების გამონახვა პრობლემად რჩებოდა. სპორტული ცენტრის შენობის აგების შემდეგ, კლდის ნაწილი მოვანგრიეთ, გაჩნდა თანამედროვე საფეხბურთო არენის გაკეთების შანსი. რომ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელების დაინტერესება და თანადგომა, სტადიონი არ გვექნებოდა. მის საზეიმოდ გახსნის ცერემონიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

- რა შედეგი მოჰყვა შუახევში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფეხბურთის სტადიონის გახსნას?

- აქ მარტო ფეხბურთს არ თამაშობენ, იგი მასობრივი სპორტული ღონისძიებების არენად იქცა. სტუდენტი ახალგაზრდობის შეკრებებიც აქ ტარდება. სტადიონის ამოქმედების შედეგია ისიც, რომ შარშან შუახევის ფეხბურთელებმა რეგიონის მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავეს. წარმატებები გვქონდა ძალოსნობაში, რაგბიში. ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა, მათი რეგიონულ, რესპუბლიკურ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა ნორმალური სპორტული ბაზების არსებობამ განაპირობა. კარგი შედეგები გვქონდა და მომავალში მათი გაუმჯობესების შესაძლებლობებია ქართულ, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობებში. ფურტიოში, ნიგაზეულში, ჭვანაში, ბარათაულში, შუბანში სპორტული დარბაზების, ღია ტიპის - მინისტადიონების მოწყობა დიდად წაგვადგა ნორჩი სპორტსმენების მომზადებაში. ამაგს ვერ დავუკარგავთ სპორტული ფედერაციების რეგიონულ და რესპუბლიკურ ხელმძღვანელებს. სამაგალითოდ, ქართული ჭიდაობის ეროვნული და აჭარის ფედერაციის პრეზიდენტების გელა ბერუაშვილისა და ჯემალ წულუკიძის გულისხმიერი დამოკიდებულების მოშველიებაც საკმარისია. ა(ი)იპ საქველმოქმედო ფონდ „შუბანის“ გამგეობის მოთხოვნას, დარჩიძეებსა და შუბანში ქართული ჭიდაობის სექციების გახსნის თაობაზე, ფედერაციების ხელმძღვანელები დადებითად შეხვდნენ. ორივე სოფელში რესურსი არის და აქ მომზადებული სპორტსმენებიც წარმატებას აღწევენ. ქართული ჭიდაობის აჭარის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გელა ზოიძის სწორი ხედვითა და პირადი ჩართულობით მოვიზიდეთ ხაბელაშვილელი მოჭიდავეები, რომლებმაც გვასახელეს. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იუნიორთა შორის წარმატება მოითხოვა კვიახიძეებელმა ანრი ფუტკარაძემ, ხოლო აღმოსავლურ ორთაბრძოლებში დღვანელმა დათა ფუტკარაძემ. დათა წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოვიწვიეთ და შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ მას საპატიო დიპლომი და ფულადი ჯილდო გადასცა.

„სტადიონის ამოქმედების შედეგია ისიც, რომ შარშან შუახევის ფეხბურთელებმა რეგიონის მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავეს. წარმატებები გვქონდა ძალოსნობაში, რაგბიში. ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა, მათი რეგიონულ, რესპუბლიკურ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა ნორმალური სპორტული ბაზების არსებობამ განაპირობა. კარგი შედეგები გვქონდა და მომავალში მათი გაუმჯობესების შესაძლებლობებია ქართული ბერძნულ-რომაული და თავისუფალ ჭიდაობებში“

- აჭარის მთიანეთში რაგბის განვითარებისთვის ზრუნვა პირველად შუახევში დაიწყეს. ახლა რა მდგომარეობაა?

- მისასალმებელია, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სპორტის ამ სახეობისთვის ცალკე სამსახური შექმნა. ყუადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ საახალწლო ღონისძიებაზე იგი საპატიო დიპლომით დაჯილდოვეს. შარშან შუახევში, კერძოდ, ფურტიოში, საქართველოს რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელი იმყოფებოდა პარლამენტარ დავით კაჭარავას ხელმძღვანელობით. სავარაუდოდ, ფურტიოში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი რაგბის არენა გვექნება.

- მწრთვნელებისა და სპორტის პედაგოგების მომზადების მიმართულებით რა კეთდება?

- ჩვენი სამსახური 40-ზე მეტ თანამშრომელს ითვლის. წარმატებით დავძლიეთ თაობათა ცვლის პროცესი. უყურადღებად არც ის მწვრთნელები, სპორტსმენები რჩებიან, რომლებმაც თავის დროზე წარმატებული სპორტსმენების აღზრდას, სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებას წლები შეალიეს. უკვე დავაწესეთ ქართულ ჭიდაობაში ნოშრევან დავითაძის, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში - შოთა კეკელიძის ხსოვნის ტურნირები. საზოგადოებაში გაჩნდა იდეა, რომ შუახევის სპორტული ცენტრის დარბაზს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის ნოშრევან დავითაძის სახელი მიენიჭოს. საკმაოდ კარგ წამოწყებას დაუდო სათავე შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ - წარმატებულ სპორტსმენსა და მის მწვრთნელს ჰონორარს აძლევენ. თანხა რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზობაზე მიღწეული შედეგებით განისაზღვრება. უკვე გვყავს სპორტის ცალკეულ სახეობაში წარმატებული მწვრთნელები. მათი მომზადება-გადამზადება კვლავ გრძელდება.

- ხშირად ისმის საყვედურები მწვრთნელების, სხვა მუშაკების მხრიდან ხელფასის სიმცირის გამო...

- ჩვენთან სახელფასო ანაზღაურება შედეგებზეა დამოკიდებული, თუმცა გარკვეული წინსვლა გვაქვს ამ მიმართულებით. წლის დასაწყისში ყველას შრომითი ანაზღაურება 10 პროცენტით გაიზარდა.

- სპორტული სექციების მუშაობაზეც გვითხარით...

- მიმდინარე წლის ბიუჯეტი 400 ათას ლარამდეა. დასაქმებულთა რაოდენობა 50-ს აღწევს, მათგან 27 მწვრთნელია. იმუშავებს 27 სპორტული სექცია: 5 - სათხილამურო სპორტში, ამდენივე - თავისუფალ ჭიდაობაში, 4 - ფეხბურთში, 3-3 - ქართულ ჭიდაობასა და მაგიდის ჩოგბურთში. სპორტულ სექციებში წვრთნას გადის 404 სპორტსმენი. თუ შარშან ჩვენი ორგანიზებით 53 სპორტული ღონისძიება გაიმართა, წელს მეტის ჩატარებას ვაპირებთ. გაგრძელდება მწვრთნელების გადამზადება.

რატომ მიდიან ახალგაზრდები პოლიტიკაში?

მე-2 გვერდიდან

ერთ ძალიან პოპულარულ კითხვას - „გვეშველება რამე“ - ჰგავს. ჩვენ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ საშველი და გამოსავალი, როგორც აბრაამ ლინკოლნი იტყოდა: „ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი ყველაფერს ნიშნავს“. თუ ჩვენთან ასე არაა, გვაქვს ბერკეტი, რომ ეს ასე იყოს, უბრალოდ, უნდა ვისწავლოთ, რომ თუ გვინდა შევდგეთ საზოგადოებად, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ არჩევნებზე ვიაროთ. თავს ძალა დავატანოთ, რომ ჩვენში მომძლავრებულ ნიჰილიზმს გავუმკლავდეთ და მივხვდეთ, ჩვენს ბიულეტენს ძალა რომ აქვს, ისეთივე ძალა, როგორიც დიდ აუდიტორიაში პირველი ადამიანის ტაშს, რომელსაც ხშირად დიდი ოვაციები მოჰყვება. ესაა ჩვენი სიძლიერის გარანტი და ჩვენი რეალური ევროინტეგრაციის სათავე.

- ვხედავთ, რომ პარტიები მუდმივად ცდილობენ ახალი წევრების დამატებას და პარტიის ე.წ. გაახალგაზრდავებას, მაგრამ მაინც სულ ერთი და იმავე სახეებს ვხედავთ. რატომ ვერ ახერხებენ ახალგაზრდები ქართულ პოლიტიკაში ფეხის მოკიდებას?

- ე.ი. საკმარისად არ ცდილობენ, უბრალოდ, გვატყუებენ, თორემ როგორ შეიძლება, რაღაც ასე ძალიან გინდოდეს და არ გამოგვიდეს? აი, ნახეთ, ჩვენი პარტიის ფეისბუქგვერდი, თვალი ადევნეთ გახარიას და პოლიტიკური საბჭოს წევრების შეხვედრებს, შეგიძლიათ, ნახოთ ჩვენი პარტიის საპარლამენტო გუნდი და ნათლად დაინახავთ, რომ ეს სიტყვები, ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართვაზე ლიტონი სულაც არაა. სურვილი არ მაქვს, ვისაუბრო სხვა პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე და, ზოგადად, ახალგაზრდების ადგილზე სხვა პოლიტიკურ პარტიებში. როგორც ჩანს, ამაზე თავად საუბრობენ თავიანთი საქმეებით, ეს თქვენს კითხვაშიც აღინიშნა, თქვენ ხომ ხედავთ, რომ ბევრი არჩევნებამდეც იტყუება.

- სამწუხაროდ, პოლიტიკური პოლარიზაცია დღესაც ძალიან აქტუალური თემაა. ცოტა რომ განვმუხტოთ ეს საკითხი, რა დაინახეთ ამ ბოლო წლებში კარგი „ქართული ოცნების“ მოქმედებაში?

- საქმე ისაა, რომ „ქართული ოცნების“ მიღწევების არსებობის შემთხვევაში, მათი დანახვა-არდანახვით ეს საკითხი არ განიმუხტება. ზოგადად, ოპოზიცია ეძახის მათ, მოდით, დავსხდეთ, ვისაუბროთო. ეს ნაცადი ხერხია, ქართველებს გვიყვარს საუბარი. გიორგი გახარიამ სულ ახალახან გამოიწვია ბატონი ბიძინა ივანიშვილი დებატებში, მესმის მისი, არ უნდა, რომ გახარიას ედებატოს, მაგრამ სწორედ ეს უნდა დაგვანახოს „ქართულმა ოცნებამ“ და, ზოგადად, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, სწორედ ეს უნდა იყოს პოლარიზაციის განმუხტვის მთავარი ამოცანა - საკუთარ სურვილებზე, პრინციპებზე, პატარ-პატარა სიმართლეებზე მაღლა სამშობლო დავაყენოთ. არ არის მთავარი, ვის რა მოსწონს. როცა პოლიტიკაში ხარ, თანაც, როგორც ამბობ, საკმაოდ საპატიო ადგილი გიჭირავს ხალხის თვალში, ხალხისთვის მომგებიანად უნდა მოქმედებდე და არა საკუთარი ეგოს დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც „ქართული ოცნების“ ბოლო წლების ყველაზე კარგ და ქვეყნისთვის მომგებიან მიღწევად იმას ვთვლი, რომ ამომრჩევლისთვის ზედაპირზე ამოატივტივეს სიმართლე ტყუილების შესახებ.

- რას ხედავთ ქართველ პოლიტიკოსებში დადებითს და უარყოფითს?

- ორი ტიპის პოლიტიკოსებს ვიცნობ: ერთი მხარე ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენაა მიდრეკილი, განდიდების მანიითაა შეპყრობილი - მათთვის მნიშვნელოვანი ბელადობა, გაკერპება და გაღმერთებაა, მეორე მხარეს კი უბრალო და უშუალო, ხალხიდან წამოსული ადამიანები დგანან, რომელთა მიზანიც პოლიტიკური კარიერის შემდეგ მშვიდი ცხოვრებაა. ბელადომანებს მშვიდად არ სძინავთ. ჩემთვის ყველაზე დადებითი, რაც შეიძლება პოლიტიკოსს ჰქონდეს, განდიდების სურვილის არქონაა, ყველაზე უარყოფითი კი - პირიქით.

- როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევის წინაშეა ჩვენი ქვეყანა?

- ძალიან ბევრი გამოწვევაა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი დეპოლარიზაციაა, ამ გამოწვევის მიღება კი მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია, რადგან ცხადია, პოლიტიკოსებს ეს, მინიმუმ, არ სურთ. არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს დეპოლარიზაციის საკითხი, ქართველმა ხალხმა ერთ მაგიდასთან უნდა დასვას მთელი პოლიტიკური სპექტრი და ამის შემდეგ უკვე შეიძლება საუბარი ევროინტეგრაციაზე ანუ საქართველოს გაძლიერებაზე, ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე, რისი გარანტიც, პირველ რიგში, დამოუკიდებელი ეკონომიკაა, რისი მიღწევაც ქვეყანაში არსებული კორუფციით შეუძლებელია.

- ოპოზიციის გარკვეული ნაწილი თქვენს პარტიას მიიჩნევს ფსევდოოპოზიციად, ასევე მიიჩნევა, რომ თქვენი პარტიის ამომრჩეველი, ძირითადად, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველია. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- ეს აზრი ოპოზიციის თქვენ მიერ ნახსენებ ნაწილს ბევრ საინტერესო რამეში ამხელს. ბიძინა ივანიშვილს აკერპებენ, ავიწყდებათ, რომ ისიც ჩვენსავით მოკვდავია და სუპერძალა არ აქვს, მაგრამ საბედნიეროდ, ქართველი ხალხი მათ არ ჰგავს. მეორე საინტერესო მომენტია, ჩვენი პარტიის ფსევდოობა-ზე ვინც საუბრობს, რას ფიქრობს, რეალურია კი აწ უკვე დაქუცმაცებული „ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ გაურკვეველი პოზიციონირება? ხან ერთნი ვართო, ხან სხვადასხვაო. ისე კი ოპოზიციის ნაწილისა და პოზიციის იდეური თანხვედრა ამომრჩეველს საინტერესო დასკვნებს გამოატანინებს. ამომრჩეველს რაც შეეხება, მათთვის პარტიული იარლიყების მიკვრა ჩემთვის ცალსახად მიუღებელია! ამომრჩეველი პარტიებს სახელწოდებების გამო არ აძლევს ხმას. ჩვენი პარტიის მხარდამჭერები ჩვენი პარტიის გეგმის მხარდამჭერები არიან, ადამიანები, რომლებსაც მობეზრდათ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ რომანი.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს 2024 წლის არჩევნებში. ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პირველ რიგში, ხალხი საარჩევნო უბნებზე მივიდეს და შემდეგ ჩვენი მოქალაქეების ხმები დავიცვათ. გეგმა პატარა არ არის, ჩვენი გეგმები დაფარული ისედაც არ ყოფილა და ზოგიერთისგან განსხვავებით, არ გვაქვს ოპოზიციიდან საქმის კეთების კომპლექსი. გვესმის, რომ ოპოზიციაც ხელისუფლების ნაწილია და უმრავლესობაში ყოფნა არ არის ერთადერთი საშუალება, იმოქმედო ქვეყნის საკეთილდღეოდ. ასე რომ, გვიყურეთ, აწმყოში რას ვაკეთებთ, როგორ ვითხოვთ კანონის წინაშე ყველას თანასწორობას ექსპრეზიდენტის მაგალითზე, დააკვირდით, როგორ და რატომ ვსაუბრობთ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის დაბრუნებაზე, რა სარჩელი შეგვაქვს პროკურატურაში ელიტური კორუფციის შემთხვევების გამო, რატომ გვინდა საუბარი ოპონენტებთან და ვფიქრობ, სამომავლო გეგმებიც ნათელი გახდება.

ციფრულ ეპოქაში...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ციფრული ეპოქა ლიტერატურას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს - ტექსტებმა ციფრულ პლატფორმებზე გადაინაცვლა

როგორ შეერწყა ის რეალობას? რა შესაძლებლობებს იყენებს? როგორია მისი სპექტრი? რამდენად სწრაფად იცვლება ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნისა და გავრცელების პარადიგმა და რას უნდა ველოდოთ მომავალში? - ამ და სხვა კითხვებზე გვპასუხობს ნეიროვარჯიშებისა და სინქრონიზაციის შესახებ მასტერკლასების ავტორი, ციფრული შიგთავსის შემქმნელი, ცნობილი მეცნიერი და პოეტი ***ციცა ბარბაქაძე.***

- ციფრულ სამყაროში შევაბიჯეთ, მრავალი რამ შეიცვალა... ლიტერატურა როგორ შეერწყა ახალ რეალობას?

- ციფრული ეპოქის ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახლავთ საზღვრების მოშლა, დარღვევა, დაკარგვა. ეს თვისება, ზოგადად, ეპოქის მახასიათებელიცაა. ციფრულ საზოგადოებაში წაშლილია გეოგრაფიული საზღვრები, იგი იშლება ვირტუალურსა და რეალურს შორისაც, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის, ლიტერატურის შიგნით - ლიტერატურულ ჟანრებს შორის და ასე შემდეგ. სამყაროს სურათი ხდება რიზომატული, ქსელური. მოშლილია ვერტიკალური პარადიგმა ან პირამიდული დაქვემდებარება. ყველაფერი გაშლილი და განტოტვილია და ყველაფერი ყველაფერთან კავშირშია ამავე დროს. ციფრულ ეპოქაში, ცხადია, ლიტერატურაც ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ტექსტებმა გადაინაცვლა ციფრულ პლატფორმებზე ელექტრონულ მოწყობილობებში. დამკვიდრდა ახალი ტერმინი - ციფრული ლიტერატურა. ტრადიციული ბეჭდური ლიტერატურისგან განსხვავებით, ციფრული ლიტერატურა იყენებს კომპიუტერების, სმარტფონების, პლანშეტებისა და ინტერნეტის ინტერაქტიულ და მულტიმედიურ შესაძლებლობებს. ის მოიცავს შემოქმედებითი ფორმების, სტილებისა და ჟანრების ფართო სპექტრს, რაც ხშირად სცილდება ლიტერატურის საზღვრებს.

- ახლა ავტორის დემოკრატიზაციაზე ალაპარაკდნენ. რას გულისხმობს იგი?

- დიახ, გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ტერმინი - ავტორის დემოკრატიზაცია, რაც გულისხმობს ლიტერატურული და შემოქმედებითი ნაწარმოებების შექმნისა და გავრცელების პარადიგმის ცვლას, რაც არის გადასვლა ცენტრალიზებული, ექსკლუზიური ავტორიტეტიდან (ტრადიციული ავტორები, გამომცემლები) უფრო ინკლუზიურ, მონაწილეობით მოდელზე, რომელიც მოიცავს კონტრიბუტორთა უფრო ფართო სპექტრს. ციფრული სივრცეები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შექმნან და გააზიარონ საკუთარი შინაარსი/კონტენტი. ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა ბლოგები, სოციალური მედია და ერთობლივი წერის სივრცეები, ყველას აძლევს უფლებას, გაუზიაროონ თავიანთი შემოქმედება გლობალურ აუდიტორიას. ციფრული პლატფორმები ხელს უწყობს, აგრეთვე, კოლაბორაციულ ავტორობას, როცა რამდენიმე ქმნის ერთ ტექსტს. უფრო მნიშვნელოვანი ხდება იდეა/ტექსტი, ვიდრე ავტორი. ასეთი ტექსტები წარმოაჩენენ კოლექტიური წერის ძალას და არღვევენ ტრადიციული წერის პარადიგმას.

- ლიტერატურული და შემოქმედებითი ნაწარმოებების შექმნისა და გავრცელების პარადიგმა რამდენად სწრაფად იცვლება და რას უნდა ველოდოთ?

- ტრადიციული და ციფრული ლიტერატურა ახლა პარალელურად არსებობს და ახალი ციფრული თაობა სულ უფრო მეტად ირჩევს ციფრულ ლიტერატურას, რადგან ციფრული ლიტერატურა არის ტექნოლოგიებზე და მოწყობილობებზე დაფუძნებული ლიტერატურა და გამოიცემა ციფრულად - ეს კი ციფრული თაობისთვის ხელსაყრელია, ისინი გაშინაურებულები არიან ამ ფორმატთან. ციფრულ ლიტერატურას არ სჭირდება „გამომცემლობა“ - შუამავალი ან ავტორის აღზევება და ავტორიტეტად ქცევა, „კარგად რომ გაიყიდოს“. რა თქმა უნდა, არსებობს ონლაინსაზოგადოებები, რომლებიც ავრცელებენ ციფრულ ნარატივებს, მაგრამ არამც და არამც ამას არა აქვს ტრადიციული სახე. ისევე, როგორც ციფრული სამყარო არის ქსელურობა, ზუსტად ასე, ციფრული ლიტერატურაც არის ქსელური, სწრაფადგავრცელებადი და გამოხმაურებადი. ციფრული ტექსტი არ არის მხოლოდ ტექსტი - ის არის მულტიმედია ნარატივი, ხშირად დაფუძნებულია თამაშზე და არის კიდეც თამაში. მკითხველი ციფრულ ლიტერატურაში არ არის პასიური, ხშირად ჩართულია სხვადასხვა ფორმით ტექსტში და, უფრო მეტიც, შეუძლია ცვლილებების შეტანაც.

- ექსკლუზიური ავტორიტეტებიდან უფრო ინკლუზიურ, მონაწილეობით მოდელზე გადასვლა როგორ შეცვლის ლიტერატურულ პროცესებს, საერთოდ, მკითხველს?

- თუ ტრადიციული ლიტერატურული ტექსტი არის წრფივი ნარატივი, რომელიც იწყება, ვითარდება და სრულდება, ციფრული ტექსტი არაწრფივია, რაც ნიშნავს, რომ არსებობს განშტოებული თხრობა და ჰიპერბმულები, რომლებიც ეფუძნება მკითხველის არჩევანს. ჩემი დაკვირვებით, გავლენის ფორმებია განსხვავებული და ეპოქასთან მისადაგებული, თორემ ლიტერატურა იმავეს გააკეთებს, რასაც დღემდე აკეთებდა.

- ციფრული ლიტერატურის ჟანრებს და თითო-ოროლა ნიმუშს ხომ არ დაგვისახელებთ?

- მულტიმედია ნარატივი... ციფრული ლიტერატურა ხშირად აერთიანებს მულტიმედიურ ელემენტებს, კომუნიკაციის განსხვავებულ რეჟიმებს, როგორებიცაა: ტექსტი, სურათები, აუდიო, ვიდეო და ინტერაქტიული ფუნქციები. ამგვარი თხრობა შეიძლება შეიცავდეს ჰიპერტექსტს, ანიმაციებს, აუდიო-ვიზუალურ პოეზიას და სხვა. ასეთი ელემენტებით შექმნილი ამბავი აძლიერებს კითხვის სურვილს, რადგან გადმოიცემა კრეატიულად. მულტიმედია ნარატივის საუკეთესო ნიმუშია „Inanimate Alice“ by Kate Pullinger and Chris Joseph: „უსიცოცხლო ალისა“ არის ინტერაქტიული ციფრული რომანი, რომელიც მიჰყვება ალისას ცხოვრებას. გოგონა მისწრაფვის, იყოს თამაშის დეველოპერი. სიუჟეტი ვითარდება ეპიზოდების სერიებში, რომლებიც აერთიანებს ტექსტს, სურათებს, ანიმაციებს და ხმას, რათა მკითხველი შევიდეს ალისას სამყაროში. ამ ჟანრის საინტერესო ტექსტია „The Silent History“ - by Eli Horowitz, Matthew Derby, and Russell Quinn: „მდუმარე ისტორია“ არის ერთობლივი მულტიმედიური რომანი, რომელიც მოგვითხრობს იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც მეტყველების უნარის გარეშე იბადებიან. ეს ამბავი აწუხებთ მშობლებს, ექიმებს, ექთნებს, მასწავლებლებს... ყველას, გარდა ამ ბავშვებისა. რომანი აერთიანებს ტექსტს, აუდიო-ჩანაწერებს და მდებარეობაზე დაფუძნებულ თხრობას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს თხრობაში მობილური აპლიკაციის საშუალებით. კიდევ ერთი ამ ჟანრის ტექსტია „The Carp and the Seagull“ - Evan Boehm: „კობრი და თოლია“ არის ინტერნეტზე დაფუძნებული ინტერაქტიული თხრობა, რომელიც აერთიანებს 3D ანიმაციას, ხმას და ინტერაქტიულ თხრობას. ის მოგვითხრობს იაპონელი მეთევზის შეხვედრაზე ზებუნებრივ მოვლენასთან და მეთევზის არჩევანის შედეგებზე.

- ჰიპერტექსტური მხატვრული ლიტერატურა...

- ეს არის ციფრული ლიტერატურის ჟანრი, რომელიც ეფუძნება არაწრფივ ნარატივებს. მკითხველებს შეუძლიათ, აირჩიონ საკუთარი გზები სიუჟეტის მეშვეობით ჰიპერბმულებზე დაწკაპუნებით. არჩევანის გაკეთებით იცვლება შედეგები. ეს გახლავთ ინტერაქტიული თხრობის ფორმა. ამ ჟანრის ერთ-ერთი პოპულარული ნარატივია Michael Joyce - „Afternoon, a Story“: „შუადღე, ისტორია“ - ჰიპერტექსტური მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული ნამუშევარია. იგი მოგვითხრობს მამაკაცზე, რომელსაც ჰქვია პიტერი, მის ცხოვრებაზე, მოგონებებზე, ურთიერთობებზე. სიუჟეტი არაწრფივია, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს პიტერის გამოცდილება სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ფრაგმენტის მეშვეობით. ნაწარმოების მთავარი თემებია: მეხსიერება, იდენტობა და დრო. კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოებია Stuart Moulthrop, „Victory Garden“: „გამარჯვების ბაღი“ არის ჰიპერტექსტური ნარატივი, რომელიც ვითარდება დისტოპიურ მომავალში, სადაც ეკოლოგიურმა კატასტროფამ ახალი მსოფლიო წესრიგი მოიტანა. სიუჟეტი მიჰყვება მრავალი პერსონაჟის გამოცდილებას, რომლებიც მოძრაობენ ამ სამყაროში და აწყდებიან სხვადასხვა გამოწვევას. მკითხველს შეუძლია აირჩიოს პერსონაჟის რომელიმე პერსპექტივა, მიჰყვეს და გამოიკვლიოს თხრობის სხვადასხვა ასპექტი. ციფრული ლიტერატურის სხვა ჟანრებია: ინტერაქტიული მხატვრული ლიტერატურა: ინტერაქტიული მხატვრული ლიტერატურა (IF) მოიცავს ტექსტზე დაფუძნებულ ვიდეოთამაშებს და ინტერაქტიულ ნარატივებს. მკითხველები ხდებიან მოთხრობის აქტიური მონაწილეები, ირჩევენ სიუჟეტსა და პერსონაჟების ბედს. IF მოიცავს პოპულარულ პლატფორმებს Twine-ს და Inform-ს. Net Art და E-Lit: Net art არის ციფრული ხელოვნების ფორმა, რომელიც ხშირად აერთიანებს ტექსტსა და ინტერაქტიულობას. ელექტრონული ლიტერატურა (e-lit) აერთიანებს ლიტერატურას და ციფრულ ხელოვნებას, რათა შეიქმნას ინოვაციური და კრეატიული ნამუშევრები. გენერაციული ლიტერატურა: გენერაციული ლიტერატურა იქმნება ალგორითმებითა ან კომპიუტერული პროგრამებით. ის შეიძლება მოიცავდეს ტექსტს, რომელიც წარმოიქმნება პროცედურულად, ხშირად არაპროგნოზირებადი შედეგებით.ზოგიერთი დაგენერირებული ტექსტი დროთა განმავლობაში ვითარდება, გენერაციული პროცესი მუდმივად განმეორებადი და განახლებადია. ამან შეიძლება შექმნას დინამიკური და მუდმივად ცვალებადი ლიტერატურული გამოცდილება. გენერაციული ლიტერატურის მაგალითები: „Taroko Gorge“ by Nick Montfort: „ტაროკოს ხეობა“ გენერაციული პოეზიის ცნობილი ნიმუშია. ლექსი გენერირებულია მარტივი პროგრამით, რომელიც აერთიანებს ტექსტის სტრიქონებს იუ ჯიანის ლექსიდან „ტაროკოს ხეობა“. პროგრამა ყოველი შესრულებით ქმნის ლექსის მუდმივად განვითარებად ვარიაციებს.

- ციფრული ლიტერატურის რომელი ტექსტი გახსენდებათ, რომელიც მკითხველის ჩართულობით იწერება?

- ციფრული ლიტერატურა ლიტერატურისა და ტექნოლოგიების შემოქმედებითი კვეთაა და სთავაზობს მკითხველს ინოვაციურ და ინტერაქტიურ გზებს სიუჟეტებში ჩართვისთვის. მაგალითად, „Bury Me, My Love“ by The Pixel Hunt and Figs piqsel hantis - „დამმარხე, ჩემო სიყვარულო“ - ეს არის ინტერაქტიური თამაში - სირიელ ქალ ნურის ისტორია, რომელიც გადაწყვეტს სახიფათო მოგზაურობას ევროპაში უკეთესი ცხოვრების საძიებლად. მოთამაშე ირგებს მაჯდის, ნურის ქმრის როლს, რომელიც სირიაში რჩება. მაჯდისა და ნურის შორის კომუნიკაციის ძირითადი რეჟიმი არის შეტყობინებები აპლიკაციის საშუალებით, სადაც მოთამაშეები აკეთებენ არჩევანს და პასუხობენ ნურის შეტყობინებებს, რაც გავლენას ახდენს თხრობის მიმდინარეობაზე. ამ თამაშში ბევრი მოთამაშე ერთვება რეალური ისტორიებით. თამაშის დასრულება დამოკიდებულია ინტერაქციაზე, ვინ როგორ რჩევებს მისცემს ნურის. თამაშის აპები არსებობს სხვადასხვა მოწყობილობისთვის, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ და თქვენც მოირგოთ მაჯდის როლი.

- როგორც ვიცი, საგანმანათლებლო რესურსადაც გამოიყენებენ ციფრული წერის პლატფორმებს, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგვიყვებოდით?

- ციფრული წერის პლატფორმებად, როგორც საგანმანათლებლო რესურსი, ბევრ ქვეყანაში და ჩვენთანაც, გარკვეული ფორმით, ეფექტურად გამოიყენება ციფრული წერის საიტები და აპლიკაციები, როგორც საგანმანათლებლო რესურსი. ასეთია, მაგალითად, https://www.storybird.com, სადაც ბავშვები/სტუდენტები შეთავაზებული ვიზუალური მასალის არჩევით ქმნიან საინტერესო კონტენტს. ვიზუალური მასალის მრავალფეროვნება მათ ეხმარება, შეარჩიონ სასურველი და აგრეთვე, გაადვიძონ მთვლემარე ასოციაციები. მულტიმედიი თხრობის ინსტრუმენტები ეხმარება ახალგაზრდებს თვითგამოხატვასა და თვითრეალიზაციაში. ისეთი პლატფორმები, როგორიცაა Twine ან inklewriter, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შექმნან ინტერაქტიური მხატვრული ლიტერატურა. ციფრული წერის ეს ფორმა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობის განვითარებას ახალგაზრდებში. ციფრული წერის მსგავსი პლატფორმები - https://www.inklestudios.com კარგი იქნებოდა ქართველი ავტორ-მკითხველებისთვისაც. ზოგიერთი პლატფორმა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს/სტუდენტებს, ითანამშრომლონ თანატოლებთან მთელ მსოფლიოში, ხელი შეუწყონ გლობალურ პერსპექტივებს და კულტურათაშორის კომუნიკაციას. ციფრული წერის პლატფორმები ხელს უწყობს უფრო დინამიკურ და ინტერაქტიურ საგანმანათლებლო გარემოს, ეხმარება სტუდენტებს, განავითარონ წერის და ციფრული წიგნიერების ძირითადი უნარები, ხოლო პროფესორებს/მასწავლებლებს სთავაზობს მრავალმხრივ ინსტრუმენტებს ეფექტური სწავლებისა და შეფასებისთვის. და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არის პროცესი, თავისი დადებითი და უარყოფითი ნიუანსებით და რაც უფრო მეტს დავწერთ და განვავითარებთ ციფრულ ლიტერატურას, მით უფრო დაიხვეწება ციფრული მწერლობის გამოხატვის ფორმები, სტილი და ჟანრები ქართულ ლიტერატურულ ციფრულ სივრცეშიც.

„ციფრული ლიტერატურა ლიტერატურისა და ტექნოლოგიების შემოქმედებითი კვეთაა და სთავაზობს მკითხველს ინოვაციურ და ინტერაქტიურ გზებს სიუჟეტებში ჩართვისთვის. მაგალითად, „Bury Me, My Love“ by The Pixel Hunt and Figs piqsel hantis - „დამმარხე, ჩემო სიყვარულო“ - ეს არის ინტერაქტიური თამაში - სირიელ ქალ ნურის ისტორია, რომელიც გადაწყვეტს სახიფათო მოგზაურობას ევროპაში უკეთესი ცხოვრების საძიებლად

კოკა იგნატოვის შემოქმედებაზე ისაუბრეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ხელოვნების მუზეუმში, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამართული საჯარო ლექცია სცენოგრაფის, მონუმენტალისტის, ფერმწერისა და გრაფიკოსის, XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის კოკა იგნატოვის შემოქმედებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა. გამომსვლელებმა კოკა იგნატოვის მხატვრულ-ესთეტიკურ მახასიათებლებზე, მისი შემოქმედების ძირითად ეტაპებსა და XX საუკუნის მონუმენტური ხელოვნების განვითარებაში შეტანილ წვლილზე გაამახვილეს ყურადღება.

ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაზე წარმოდგენილ სურათზე „მხატვრის სახელოსნოში“ ისაუბრა:

- მიმდინარე წლის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ხელოვნებაზე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და მათი სამუზეუმო ცხოვრებაში ჩართულობაა. გვსურს ახალგაზრდების თანამონაწილეობით შევქმნათ იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უპასუხებს დარგის თანამედროვე გამოწვევებს და შეძლებს მოახდინოს მათი ინტერესების (აღნიშნული პროფილის მიმართულებით) სრული დაკმაყოფილება. ძალიან მალე, ხელოვნების მუზეუმში ამოქმედდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „ჯენზი“, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდებისთვის იქნება შემუშავებული. პროგრამა გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შემეცნებითი და გართობის კომპონენტების გაზრდას, ახალგაზრდების ცნობიერების მეტად ამაღლებას, წახალისებასა და სტიმულირებას, - აღნიშნა თენგო დოლიძემ.

მედეა ჩარკვიანი: არ ვთამაშობ, არ ვარ მოგონილი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ძირძველი ბათუმელი, გულწრფელი, საინტერესო და ინტელექტუალური ქალბატონი მედეა ჩარკვიანი იმ თაობას ეკუთვნის, კეთილი კვალი რომ აღბეჭდეს ჩვენი ქალაქის ისტორიაში

მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევა და სადაც უმუშავია, ყველგან წარმატებული იყო. მას იცნობენ როგორც ნიჭიერ ჟურნალისტს, მსახიობს, მენეჯერს. ამჯერად უნარიანად უძღვება ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმს. დღეს იგი გაზეთ „აჭარას“ გულისნადებს უზიარებს.

- გულწრფელობას ღირსებად თუ თვლით და თავად რამდენად გულწრფელი ხართ?

- ყველაზე დიდ ღირსებად მიმაჩნია გულწრფელობა, რადგან ეს არის გონიერების, კეთილსინდისიერებისა და თვითკრიტიკულობის ნაზავი. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან გულწრფელი ადამიანი ვარ: არ ვთამაშობ, არ ვარ მოგონილი, ყალბი და ფარისეველი, რაც, თავმდაბლობის გარეშე, ჩემს ღირსებად მიმაჩნია.

- როგორ დაიწყებდით საკუთარ ავტობიოგრაფიას?

- თებერვლის თოვლიან, ქარიშხლიან და სუსხიან ღამეს ყველაზე ლამაზ ზღვისპირა ქალაქში დაიბადა ზომაზე მეტად ფერხორციანი, იღბლიანი, თბილი, ექსცენტრული, გულიანი, პოზიტიური, ენერგიული და ჭირვეული გოგონა, რომლის ცხოვრების ჯადოსნური ისტორია ბათუმთან, მოსიყვარულე მშობლებსა და და-ძმასთან იყო, არის და იქნება დაკავშირებული.

- თქვენს ბიოგრაფიაში რომელიმე მნიშვნელოვან მომენტს თუ გამოყოფთ და - რატომ?

- ალბათ, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელობის ათწლიან პერიოდს, როცა ქალაქში ჩვენი დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა ყველა ახალგაზრდულ ღონისძიებას: საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, ახალგაზრდულ ბანაკებს, სტუდენტურ დღეებს, მხიარულთა და საზრიანთა კონკურსსა და სტუდენტურ მეჯლისს, რომელიც ჩვენს ბათუმს განუმეორებელ ემოციებსა და სილამაზეს ჩუქნიდა.

- პროფესია რამდენად გიწყობთ ხელს თქვენი პიროვნების რეალიზებაში?

- პროფესიით ჟურნალისტი ვარ. მოგეხსენებათ, ჟურნალისტიკა ძალიან რთული სფეროა. ის ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს: ერუდიციას, ინტელექტს, ობიექტურობას, შრომისმოყვარეობას, კეთილგანწყობას, სამართლიანობას, გემოვნებასა და ჰუმანიზმს. ეს თვისებები ყოველთვის მეხმარებოდა მენეჯერის პოზიციაზე მუშაობისას. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის მიწევს რაღაც ახლის კეთება, იდეების ნაკლებობას არასოდეს ვუჩივი, სიახლეები ძალიან მომწონს და არასოდეს მაშინებს ექსპერიმენტები.

- მუზეუმი თქვენი თვალსაწიერიდან...

- ამჟამად ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმის მმართველი ვარ, რომელიც აჭარის სამუზეუმო გაერთიანებაში შედის. გასულ საუკუნეში, როცა მოსწავლე ვიყავი, მუზეუმი მოსაწყენ დაწესებულებად მიმაჩნდა. 21-ე საუკუნის მუზეუმი არ არის ჩვენი ისტორიის, წარსულისა და დღევანდელობის მხოლოდ ფერმკრთალი და გახუნებული გრძნობების „სასაფლაო“. დღესდღეობით აჭარის მუზეუმი ქალაქში ძალიან მიმზიდველი კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემეცნებითი დაწესებულებაა, სადაც უამრავი საინტერესო პროექტი ხორციელდება, რაც, უდავოდ, სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელის თეონა ზოიძის და მისი არაჩვეულებრივი, შემოქმედებითი, კრეატიული, შრომისმოყვარე გუნდის დამსახურებაა. სასიხარულოა, რომ ბათუმი იქცა მუზეუმების ქალაქად, რომელიც ტურისტებისთვის ერთგვარი სავიზიტო ბარათის ფუნქციას ასრულებს.

- თავი წარმატებულად მიგაჩნიათ?

- მგონი, ამის შესახებ სხვებს უნდა ჰკითხოთ... ალბათ, კი.

- სულიერად გაღვიძებული ადამიანი როგორია თქვენი აზრით?

- ზნეობრივი, კეთილი, გაწონასწორებული, მშვიდი, ქველმოქმედი, გონიერი, კეთილგანწყობილი, სინდისიერი... ერთი სიტყვით, ქრისტეს 10 მცნების ერთგული, რომელიც ერთ მეოცე საუკუნეში შექმნილ პიროვნების თეორიაში. საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი გარდატეხა პიროვნების ტიპების კლასიფიკაციაში უილიამ შელდონს ეკუთვნის, რომელმაც მეოცე საუკუნის შუა ნახევარში, სხეულის ფორმებზე დაყრდნობით შექმნა პიროვნების ტიპების აღსაწერი სისტემა. შემდეგი მცდელობა ფრენკ სელოუეის სახელს უკავშირდება... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე, ალბათ, სანგვინიკ-ქოლერიკული ტიპაჟი ვარ: აქტიური, ენერგიული, მხიარული, მაგრამ ამავე დროს, ფიცხი, ფეთქებადი და, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, შინაგანად ძალიან ემოციური და სევდიანი.

- ცვლილებებს როგორ ხვდებით - კარგსაც და ცუდსაც?

- ამერიკელი მწერლისა და დრამატურგის კურტ ვონეგუტის სიტყვები ჩემი ცხოვრებისა და თვითგადარჩენის მთავარ პრინციპს ზუსტად ესადაგება: ,,ღმერთო, მომეცი მოთმინება, რათა ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რათა შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია და კეთილგონიერება, რათა გავარჩიო ერთი - მეორისგან“...

- საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ. თქვენს მრავალმხრივ ინტერესებში რას გამოკვეთთ? მედეა, როგორც მსახიობი, შედგა?

- კინოინდუსტრია ყოველთვის მაინტერესებდა. ზაზა ხალვაშმა ფილმ „ლოტოში“ მონაწილეობა რომ შემომთავაზა, ძალიან გამიხარდა, რადგან ეს ჩემთვის ნამდვილად დიდი გამოწვევა იყო, თან იმის ფონზე, რომ ახლობლები სულ მეუბნებოდნენ, კინომ შენი სახით ნიჭიერი მსახიობი დაკარგაო. როგორ და რანაირად ვითამაშე, სპეციალისტების გასარჩევია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასება ზაზა ხალვაშის კომენტარი იყო ჩემს შესრულებულ როლზე: „მე უფრო გროტესკულად მქონდა ეს პერსონაჟი შეთხზული, ღიმილი უნდა გამოეწვია, მაგრამ ქალბატონმა მედეამ გაასერიოზულა და ისე ითამაშა, რომ ეს უკვე დრამაა... ღიმილი კი არა, შეიძლება მისი ეს სახე საინტერესო ფიქრის საგანიც კი გახდეს“. მადლობა ზაზას ამ არაჩვეულებრივად თბილი, ბათუმური, ფერადი სიყვარულის მარადიულ ისტორიებზე შექმნილი საოცარი ფილმისათვის.

- რას ვერ აპატიებთ და რას აფასებთ ადამიანში?

- უმადურობას, ღალატს, ფარისევლობას, მზაკვრობას, შურს, უსინდისობას ვერ ვაპატიებ და, ამის პარალელურად, ვგიჟდები ნიჭიერ, მადლიერ, ერთგულ, კეთილსინდისიერ და მიზანდასახულ ადამიანებზე.

- რომელ დროში არჩევდით ცხოვრებას?

- იტალიური რენესანსის პერიოდში. ეს ქვეყანა და მათი ხელოვნება ჩემი სისუსტეა.

- ძირძველი ბათუმელი ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის ბათუმელობა?

- საოცრად მიყვარს ჩემი ქალაქი. ბათუმზე რომ ვსაუბრობ, „სამოსელი პირველი“ მახსენდება: „ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე. ორსართულიანი სახლები, მოკირწყლულ ფერდობზე ნაბიჯ-ნაბიჯ აყოლილნი. ქალაქი ქალებითა და კაცებით, ბავშვებით სავსე... ჰეე, ქალაქი, წითელი კრამიტით მოფენილი, დანაოჭებული სახურავებით, ზემოდან თუ დავხედავთ; რკინის მილები, ავდრისას წყალი რომ მოჩხრიალებს და მძიმედ აორთქლებული ქალაქი ნაწვიმარზე... გამჭვირვალე ნისლი გათენებისას, ხასხასა ფერები, ტირიფებიანი ეზოები, ვარდებითა და გეორგინებით და რომელიღაც უსახელო ყვავილებით ქალაქის განაპირას“... ჩემს ბავშვობას ძველი ბათუმის ასეთი ეპიზოდები და სურათები შემორჩა. სულ ვგრძნობდი, რომ ყველა ქუჩას ჰქონდა განსაკუთრებული მომხიბვლელობა, რომელსაც თან ახლდა ყავის, ზღვისა და მაგნოლიის სურნელი... ასეთი ბათუმი მენატრება, ასეთი ბათუმი მიყვარს და სულ ვეძებ იმ განუმეორებელ ხიბლს და ანდამატს, ბავშვობასთან რომ მაახლოებს. ბათუმელობა ჩემთვის არის სიყვარულის, სიხარულის, სილამაზის, ღირსების, სითბოსა და სიკეთის უსასრულო სიმფონია და ციცინათელებიანი მზე ჩემს სულში...

„თებერვლის თოვლიან, ქარიშხლიან და სუსხიან ღამეს ყველაზე ლამაზ ზღვისპირა ქალაქში დაიბადა ზომაზე მეტად ფერხორციანი, იღბლიანი, თბილი, ექსცენტრული, გულიანი, პოზიტიური, ენერგიული და ჭირვეული გოგონა, რომლის ცხოვრების ჯადოსნური ისტორია ბათუმთან, მოსიყვარულე მშობლებსა და და-ძმასთან იყო, არის და იქნება დაკავშირებული

- ადამიანს რის მიხედვით აფასებთ?

- ინტელექტის, კეთილგონიერების, შრომისმოყვარეობის, სინდისიერებისა და ოჯახის მიხედვით.

- მეგობარი სულით ნათესავი, საყრდენი, იმედია. თქვენც ასე ფიქრობთ?

- მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ერთგულ და საიმედო მეგობართა წრე მყავს. თითქმის ყველა თავისი საქმის პროფესიონალი და წარმატებული ადამიანია, რაც მთავარია, ისინი თავიანთი ღირსებითა და სისუსტეებით ჩემთვის ძალიან საყვარლები არიან და არასოდეს ვცდილობ მათ გადაკეთებას.

- მიტევება როგორ წარმოგიდგენიათ?

- ქრისტიანმა ადამიანმა ცოდვილს უნდა მიუტევოს, მაგრამ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც შენს დიდსულოვნებას სისუსტედ და გულუბრყვილობად აღიქვამს... ყველაზე ცოდვა მაინც იმ კატეგორიის ადამიანები არიან, რომლებიც სინანულში არ ვარდებიან. ამ დროს უფლის სიტყვასაც ივიწყებენ: „ვსჯი არა ცოდვილთ, არამედ უნანელთ“.

- როგორ ფსიქოლოგიურ ტიპს მიაკუთვნებთ თავს?

- ოო, ამაზე ხშირად მიფიქრია და ბევრიც წამიკითხავს, რადგან ყოველთვის მაინტერესებდა, რომელ ფსიქოტიპს განვეკუთვნებოდი. მოგეხსენებათ, ტიპების მიხედვით პიროვნების აღწერის მცდელობას ძალიან დიდი ისტორია აქვს. პირველი ასეთი საკლასიფიკაციო სისტემა ჰიპოკრატეს ეკუთვნის, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში სცადა პიროვნების ტიპების დიფერენცირება და თეორიის მისადაგება. ჰიპოკრატეს მიხედვით, ადამიანის სხეული ოთხ ძირითად სითხეს ანუ ჰუმორს მოიცავს, რომლებიც ასოცირებულნი არიან სპეციფიკურ ტემპერამენტსა და ქცევით პატერნთან. ჰიპოკრატემ ზემოთ ხსენებული ჰუმორები ტემპერამენტთან გააწყვილა, რის შედეგადაც მივიღეთ სანგვინიკური (აქტიური, მხიარული), მელანქოლიური (ნაღვლიანი, ჩაფიქრებული); ფლეგმატური (აპათიური, მოდუნებული); ქოლერიკული (ფიცხი, ადვილად აღგზნებადი) ტიპები. მოგეხსენებათ, პიროვნების ტიპებად დაყოფის ეს უძველესი მცდელობა დღეს აქტუალური აღარ არის, თუმცა მაინც ჰპოვა თავისი გამოძახილი ჰანს აიზენკის მიერ მეოცე საუკუნეში შექმნილ პიროვნების ტიპების ფსიქოლოგიურ ანალიზში. ეს ტიპები ასეთია: ექსტროვერტი, ინტროვერტი, ფსიქოტიკი. ეს ბოლო ტიპი ალბათ, ყველაზე ნაკლებ ადამიანს ეკუთვნის, ეს

მილოცვა

პეტრე არძენაძე 80 წლისაა

დაიბადა 1944 წლის 20 იანვარს ქედის რაიონ სოფელ დანდალოში. სწავლობდა დანდალოს 7-წლიან, გოგიაშვილებისა და ცხმორისის საშუალო სკოლებში. 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა ცხმორისის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე. 1963-1967 წლებში მსახურობდა შავი ზღვის საზღვაო-სამხედრო ფლოტში. სამხედრო სამსახურის შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რუსული ენა-ლიტერატურისა და უცხო ენის სპეციალობით - საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე. ამავდროულად, მუშაობდა ბათუმის ციტრუსკომბინატში მუშად.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ჯერ კადრების განყოფილების უფროსად, დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს, შემდეგ კი 10 წლის განმავლობაში იყო ციტრუსკომბინატის ბაზაზე შექმნილი აჭარის საკონსერვო კომბინატის გენერალური დირექტორი. ეს წლები ბატონ პეტრეს ბიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მან თავი გამოიჩინა როგორც პროდუქტიულმა ხელმძღვანელმა. ფართოდ თანამშრომლობდა იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილ საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან კვების პროდუქტების ახალი ტექნოლოგიების შექმნისა და წარმოებაში დანერგვის სფეროში, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ამ სფეროს ცნობილ მეცნიერებთან, აკადემიკოსებთან: ლევან ლაზიშვილთან, ინსტიტუტის დირექტორ, აკადემიკოს გურამ პაპუნიძესთან, მიხეილ ფიშმანსა და სხვებთან.

2000 წლიდან პეტრე არძენაძე სამუშაოდ გადადის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 2006 წლიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ინსტიტუტი შეუერთდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ბატონი პეტრე არის ამ უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილის უფროსი. ის დღესაც სამეცნიერო დაწესებულებაშია და ემსახურება მეცნიერებას - არის ჯ. ლეჟავას საერთაშორისო მრავალდარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ყურადღების ცენტრში მოხვდა მისი ნაშრომი აჭარაში საკონსერვო მრეწველობისა და სასურსათო პროგრამის განვითარების შესახებ, რომელმაც კარგი შეფასება დაიმსახურა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროდუქტთა შენახვისა და დაკონსერვების ტექნოლოგიის კათედრაზე.



ბატონ პეტრეს შესანიშნავი ოჯახი ჰყავს. მან ქალბატონ გული შოთაძესთან ერთად ნახევარსაუკუნოვანი თანაცხოვრებით ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ჰყავთ ქალიშვილი მაია, ოთხი შვილიშვილი, რომელთა აღზრდა-განათლებისთვის ყველაფერს აკეთებენ ბებია და ბაბუა.

ბატონი პეტრე გამოირჩევა უამრავი დადებითი პიროვნული თვისებით, ყველა საქმეს ეკიდება დიდი პასუხისმგებლობით, არის პუნქტუალური, ერუდირებული და ინტელიგენტი კაცი, რომელსაც შეუძლია არა მარტო სამსახურში გადაწყვიტოს პრობლემები, არამედ სამეგობრო და სანათესაო წრეშიც სამაგალითოა. ყველას ეხმარება და თითოეულის გაჭირვება მიაქვს გულთან. ასე იყო ყოველთვის. დღეს მას 80 წელი უსრულდება და ასეთივე დაუშრეტელი ენერგიით შრომობს, არის ქვეყნისა და ოჯახის უბადლო მსახური.

განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს ბატონი პეტრე არძენაძეების საგვარეულოში. არის ამ საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე. იგი დღესაც, 80 წლის ასაკში მზადაა კარგი ურთიერთობისა და დახმარებისთვის. ბათუმელები მას მიიჩნევენ კოლორიტულ პიროვნებად, ისევე, როგორც ქედასა და მთლიანად აჭარაში.

ბატონო პეტრე! ასე გამორჩეულად იცოცხლე კიდევ მრავალი წელი! იხარე, იბედნიერე, ჩვენო საამაყო და უკეთილშობილესო კაცო, კიდევ მრავალი წელი დაამშვენე შენი ლამაზი დანდალო, შენი უსაყვარლესი ხალხი, რომელსაც ძალიან უყვარხარ!

ნინო მხეიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ავთანდილ ბეჟანიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

შალვა აბაშიძე,
მწერალი, პუბლიცისტი

(R)

მთავარი ბიბლიოთეკა მკითხველს მალე მიიღებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

დასასრულს უახლოვდება აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის რემონტი და სულ მალე ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოთეკა მკითხველს ისევ უმასპინძლებს...

2022 წელს, ბიბლიოთეკის უსაფრთხოების თანამშრომელმა აღმოაჩინა, რომ შენობაში დარღვეული იყო უსაფრთხოების ნორმები. გამოიძახეს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები, რომლებმაც შენობის დათვალიერების შემდეგ, ბიბლიოთეკა იმავე დღეს დახურეს.

როგორც ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯონი საბაშვილმა გვითხრა, რომელიც დაწესებულებას მესამე წელია ხელმძღვანელობს, ასეთ სავალალო მდგომარეობას არ ელოდნენ. ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის (ვაჟა-ფშაველას ქ. №21) მდგრადობის კომპლექსურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ შენობა გამაგრება-აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებას საჭიროებდა. არსებული სიტუაციის გამო, შეიქმნა ბიბლიოთეკის ფონდისა და ინვენტარის სხვა ადგილზე გადატანის აუცილებლობა. ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ შეფუთა კატალოგები, კარტოთეკები, ელექტრონული ტექნიკა, სხვადასხვა ნივთი და ბიბლიოთეკის ინვენტართან ერთად, „ბათუმი არენას“ ტერიტორიაზე დაასაწყობა (შარტავას ქ. №13).

- ნახევარ მილიონზე მეტი წიგნი დაცულად უნდა გადაგვეტანა. მათი წიგნის შეფუთვა, ყუთებში სათანადოდ ჩალაგება არ



იყო იოლი საქმე. ეტაპობრივად გადავიტანეთ დანიშნულების ადგილზე. ამ პროცესში თითქმის მთელი ქალაქი მონაწილეობდა. უკვე ერთი წელია, წიგნები საიმედოდაა დასაწყობებული და მოვლილი. ფაქტობრივად, გადატანას უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე რემონტს. თანამშრომლები, ძირითადად, ჩვენი ბიბლიოთეკის საბავშვო ახალგაზრდობის განყოფილებაში გადანაწილდნენ. სარემონტო სამუშაოების 99 პროცენტი უკვე დასრულებულია, პატარა დეტალებია დარჩენილი და მალე შენობა ოფიციალურად ჩაბარდება. გადასვლას, ალბათ, თვის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში დავიწყებთ. აქ ბევრი რამ შეიცვალა - იატაკი, ჭერი, ყველაფერი, რაც გამოსაცვლელი იყო. ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები, გადაიტიხრა სამკითხველო დარბაზი, იგი ოდნავ შემცირდა და მის ხარჯზე საცავი გადიდდა. ახლა იქ მომუშავე თანამშრომლებს სრული კომფორტი ექნებათ, - გვითხრა **ჯონი საბაშვილმა.**

ბიბლიოთეკა, რომელიც 121 წლისაა, ქალაქის მაშინდელი გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე, 1902 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა. ბუნებრივია, მას მდიდარი ფონდი აქვს. იშვიათი გამოცემების შეფუთული ფონდი ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში განთავსდა.

- ჩვენი მიზანია, მკითხველს მივაწოდოთ მისთვის სასურველი ლიტერატურა. ბიბლიოთეკის ფონდები გეგმაზომიერად და სისტემატურად მდიდრდება პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ფონდების დაკომპლექტება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ასევე, ავტორებისაგან და სხვადასხვა ორგანიზაციისაგან საჩუქრად გადმოცემული ლიტერატურით ხდება, ამიტომ კარგია, რომ საცავი ცოტათი გადიდდა. მარტო შარშან, წლის განმავლობაში, ბიბლიოთეკის ფონდი 4 222 ერთეულით შეივსო, რომელთა საერთო ღირებულება 51 743 ლარსა და 18 თეთრს შეადგენს. მათ შორისაა 2 457 წიგნი, 295 ჟურნალი, 1 470 გაზეთი. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბიბლიოთეკის ფონდი

577 547 ერთეულს შეადგენს, - ამბობს ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე **ნატალია ჭყონია** და გვიხსნის, რომ მიმდინარე რემონტის მიუხედავად, საჯარო ბიბლიოთეკას თავისი ყოველდღიური საქმიანობა არ შეუწყვეტია - საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მუშაობა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. რამდენიმე დღეში ბიბლიოთეკა კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაბლდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/01/24, 18 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სიკეთეზე „დამოკიდებული“ ბიჭი ქუთაისიდან, რომელიც აჭარაში, როგორც სახლში, ისე გრძნობს თავს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ამბობს, რომ ცხოვრებაში ისე არაფერსა და არავისზეა დამოკიდებული, როგორც სიკეთის კეთებაზე. მიაჩნია, რომ ბედნიერებაა აკეთო ის საქმე, რომელიც გიყვარს და ამით სიხარული მიანიჭო ადამიანებს. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ინფლუენსერი დავით ოძროპილაშვილია - ფოტოგრაფი ქუთაისიდან, რომელსაც ყველა დანტესის სახელით იცნობს

მან ამა თუ იმ სოციალურ პლატფორმაზე ვიდეოების გამოქვეყნებისთანავე დაიმსახურა საზოგადოების ნდობა და სიყვარული, ამის მიზეზი კი, როგორც თავად გვითხრა, გულწრფელობა და ის სიკეთეებია, რის განხორციელებაში უკვე არაერთი ადამიანი თუ კომპანია დაუდგა გვერდით. დანტეს-ფოტოგრაფი ახლახან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გამართული კამპანიის ***#გამომყევიაჭარაში*** *გამარჯვებული გახდა. ამ კამპანიისას, ბლოგერების მიერ აჭარის შესახებ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულმა კონტენტმა ასიათასობით ქართველს და არამარტო მათ, გააცნო აჭარის რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები, ადგილები და სერვისები. როგორც დავითმა გვითხრა, აქამდე აჭარა მისთვის, ძირითადად, ზღვასთან ასოცირდებოდა, თუმცა აღნიშნულ კამპანიაში ჩართვის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ეს რეგიონი თავისი მრავალფეროვნებით, ბუნებით, ტრადიციებით, სამზარეულოთი და, რაც მთავარია, ადამიანებით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ავთენტური და საინტერესოა.*

- თქვენ მიერ აჭარის რეგიონში გადაღებულ ვიდეოებზე სოციალურ ქსელებში ხშირად გკითხულობთ კომენტარებს, რომ თავად ამ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებსაც კი სულ სხვაგვარი ემოციით გააცანით ესა თუ ის სოფელი, ადგილი და ადამიანები. როგორია თქვენი თვალით დანახული აჭარა?

- პირველ რიგში, მინდა აჭარას, თითოეულ აჭარელს მივულოცო შობა-ახალი წელი და ვუთხრა, რომ განსაკუთრებულ რეგიონში ცხოვრობენ, გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით, სითბოსა და სიყვარულის გამოხატვის უდიდესი უნარით. ამ კამპანიის ფარგლებში გადაღებულმა ჩემმა ვიდეოებმა და ზოგადად, ჩემმა ყველა სხვა ვიდეომ, ალბათ, იმიტომ დაიმსახურა დიდი მოწონება, რომ ვარ ის, ვინც ვარ. არასდროს ვთამაშობ კამერებთან, გულწრფელობა კი ყველაზე ახლოს მიდის ადამიანების გულებთან. კონკურსის ფარგლებში აქ ისეთი ადგილები აღმოვაჩინე, მანამდე რომ ვერ წარმოვიდგენდი.

- განსაკუთრებულ აღმოჩენად მაინც რომელ ადგილს მიიჩნევთ?

- სოფელ თაგოს, რომელსაც „სამოთხე დედამიწაზე“ დავარქვი. ამ სოფელში საბაგიროთი უნდა მიხვიდე. საოცარი შეგრძნება გეუფლება - მისტიკური. თითქოს ღრუბლებს ებ ქალბატონ გულნაზ დუმბაძის გაცნობა, რომელიც თოკზე დადის და რომლის ვიდეოსაც ძალიან ბევრი ნახვა და გაზიარება ჰქონდა. ასევე, ძალიან მომეწონა ქედის რაიონი, სოფელი მერისი, სადაც საოცრად თბილი ხალხი გავიცანი. მოვიარე ქობულეთის ძალიან ბევრი ადგილი. ერთი სიტყვით, ასე განსაკუთრებით იმიტომაც მომეწონა აჭარის რეგიონი, რომ ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს აქ და როგორც სახლში, ისე ვიგრძენი თავი.

- როგორ ფიქრობთ, ტურისტული თვალსაზრისით როგორია აჭარის პოტენციალი?

- ამ კუთხით აჭარის პოტენციალი ერთ-ერთი პირველია საქართველოში, თუ პირველი არა, თუმცა სხვა რეგიონებს ასე სიღრმისეულად ნამდვილად არ ვიცნობ ჯერჯერობით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ვიცოდი აჭარაც, ვიცოდი ბათუმიც, მაგრამ იმდენი ახალი ადგილი აღმოვაჩინე, რომ მივხვდი, ტურიზმის კუთხით უსაზღვროდ დიდი რესურსი აქვს ამ რეგიონს.

- ალბათ აჭარულ სამზარეულოსაც გაეცნობოდით. თუ გამოარჩევთ რომელიმე კერძს, რომლის დაგემოვნებას მეგობრებსაც ურჩევთ?

- საოცრად მომეწონა სინორი, რომელიც მერისში გავსინჯე. ძალიან გემრიელი კერძები გაქვთ, მაგრამ - ცხიმიანი და დღემდე ვცდილობ, ის კილოგრამები დავიკლო, რაც აქ ყოფნისას ჩემს წონაზე აისახა, თუმცა მაინც არ ღირს უარის თქმა ამ ყველაფერზე.

- თქვენი სახელი და გვარი სიკეთესთან, ადამიანების გახარებასთან ასოცირდება. როგორ დაიწყო ყველაფერი?

- ათი წელია, ფოტოგრაფი ვარ. ქუჩაში დავიწყე ხალხის გადაღება. მინდოდა პოზიტიური ვიდეოები გამეზიარებინა საზოგადოებისთვის, თუმცა სპონტანურად გადაღებულ ვიდეოებში აღმოჩნდებოდა, რომ ზოგი მარტოხელა იყო, ზოგს ძალიან უჭირდა. შემდეგ, როგორც შემეძლო, ვცდილობდი, დავხმარებოდი მათ და ცოტათი მაინც გამეხარებინა. სიკეთის კეთებაში არაერთი ადამიანი შემომიერთდა, არაერთი კომპანია დამიკავშირდა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი შუამავალი გავხდი მათსა და იმ ადამიანებს შორის, ვინც საჭიროებს დახმარებას, გვერდში დგომას. ალბათ, ათი პროცენტი ჩანს სოციალურ ქსელში, რასაც ვაკეთებთ კარგი ადამიანების თანადგომით. ცხოვრებაში არაფერზე ვყოფილვარ დამოკიდებული, მაგრამ სიკეთის კეთებაზე იმდენად დამოკიდებული გავხდი,

ალბათ, ვერც დავანებებ ამას თავს და არც უფლება მაქვს. ბედნიერებაა, უყურო გახარებული ბავშვებისა და მოხუცების გაბრწყინებულ თვალებს, იმ ხალხის სიხარულს, ვინც სიკეთეს აკეთებს და ვისაც სიკეთეს უკეთებენ.

- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი?

- ჩემი ვიდეოები როგორიც არის, ისეთი ცხოვრება მაქვს - სპონტანურად, დაუგეგმავად მივყვები მას და არ ვიცი, რა იქნება შემდგომში, თუმცა დედაჩემი რომ იყოს აქ, დარწმუნებული ვარ, გეტყოდათ, რომ ჩემი უახლოესი გეგმა ცოლის მოყვანა, ოჯახის შექმნა უნდა იყოს. რა თქმა უნდა, აღნიშნულზე მეც ვფიქრობ, თუმცა ამას ვერ დაგეგმავ. მჯერა, როგორც ჩვენს ცხოვრებაში, ისე ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება.

- რა არის მთავარი, ხალხი რომ გენდოს, შეგიყვაროს და მიგიღოს ისეთი, როგორიც ხარ?

- გულწრფელობა, გულწრფელობა და ისევ გულწრფელობა. არ უნდა შეიცვალო, არ უნდა მოერგო ხალხს, უნდა მოერგო საკუთარ ხასიათს და თუ მიგიღო საზოგადოებამ, ესე იგი, სწორად აკეთებ, რასაც აკეთებ. არ უნდა შეიცვალო იმის გამო, რომ საზოგადოებას მოეწონო, რადგან, ადრე თუ გვიან, ფეხს წამოიკრავ და ნიღაბი დაგივარდება... მხოლოდ სიკეთის, სიყვარულისა და თანადგომის უნარი გვაქცევს ღირსეულ ადამიანებად, ამიტომაც მინდა, ერთმანეთის უპირობო მხარდამჭერები ვიყოთ.